საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 21 სექტემბერი. 2018 წ. №185 (8586) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პარლამენტის გონივრული გადაწყვეტილება

მარიხუანის კულტივაციის შესახებ კანონპროექტი „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტიდან გაიწვია

მმართველი გუნდი კანაფის კულტივაციისა და კანაფის შესახებ კანონპროექტს აღარ განიხილავს. ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის თავმჯდომარე ავრცელებს. ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ეკლესიისა და საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების გამო „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტის გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო.

კობახიძე როგორც მის თანაგუნდელებს, ისე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ამ საკითხზე საჯარო სივრცეში ემოციური პოლემიკის გაგრძელებისაგან.

„ქართველ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია კანონპროექტმა, რომელიც ეხება მცენარე კანაფის კულტივაციას, გადამუშავებასა და ექსპორტს სამედიცინო და კოსმეტიკური საშუალებების წარმოების მიზნებისათვის. კანონპროექტს გამოეხმაურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ჩვენ ვართ პოლიტიკური ძალა, რომლის მთავარი ღირებულებაა ადამიანი და მისი ღირსების დაცვა, რომლის პრინციპებია ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და ეკლესიისა და პატრიარქის განსაკუთრებული პატივისცემა.

ჩვენ ვუსმენთ საზოგადოებას და ეკლესიას. სწორედ ამ ღირებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვის შეჩერების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ პირნათელი ვართ ქართველი საზოგადოებისა და ეკლესიის წინაშე, რადგან წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალებების წარმოებასა და რეალიზებას. თუმცა, თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ამ კანონპროექტმა ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური მიმოქცევა შეიძლება წაახალისოს, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას კანონპროექტის გამოწვევის თაობაზე.

სამწუხაროდ, საზოგადოების ვნებათაღელვით ბოროტად ისარგებლეს გარკვეულმა ძალებმა, რომელთა მთავარი ნიშან-თვისებები სწორედ ადამიანის ღირსების უგულვებელყოფა და მისი შელახვის მცდელობა, ქვეყანასთან, ხალხთან და საზოგადოებასთან დაპირისპირება, ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა.

საზოგადოებას მოვუწოდებთ, ნურავის მივცემთ ვნებათაღელვის თავის სასარგებლოდ ბოროტად გამოყენების საშუალებას.

გამოვხატავთ უდიდეს პატივისცემას უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ, რომლის თითოეული ნაბიჯი და განცხადება გამსჭვალულია სიბრძნით და რომელიც ყოველთვის მიმართულია ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების დაცვისკენ.

მოვუწოდებთ ყველას, როგორც ჩვენს თანაგუნდელებს, ისე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ ამ საკითხზე საჯარო სივრცეში ემოციური პოლემიკის გაგრძელებისაგან“, — ნათქვამია განცხადებაში.

ილია II: მოვუწოდებ მღვდელმთავრებს, მსგავსი ქმედებისგან თავი შეიკავონ



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბოლო პერიოდში მღვდელმთავრების მიერ გაკეთებულ გამონათქვამებს ეხმაურება, რომლებიც პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ამა თუ იმ საპრეზიდენტო კანდიდატისკენაა მიმართული. პატრიარქის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„სამწუხაროდ, არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღვთისმსახური პოლიტიკური შინაარსის განცხადებებს აკეთებს და ამასთან, საჯარო სივრცეში ამა თუ იმ პოლიტიკურ პირს არაკორექტურად მოიხსენიებს, მოვუწოდებ მოძღვრებს, მღვდელმთავრებს, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებისგან. მათ ასევე შევახსენებთ, რომ ეკლესია ყოველთვის იყო და იქნება პოლიტიკურად ნეიტრალური ერის გამაერთიანებელი ძალა და ჩრდილს ნუ აყენებენ მას და საკუთარ თავს“, — ბრძანებს პატრიარქი.

ირაკლი კობახიძე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მადლობას უხდის

„პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეკლესია, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ნეიტრალური და ზუსტად ეს არის ასახული პატრიარქის განცხადებაში, უნდა იყოს საარჩევნო პროცესებიდან, რა თქმა უნდა, არსებითად გამიჯნული ეკლესია და საპატრიარქო და ეს იყო ზუსტად ამ განცხადების პათოსი და მე მინდა, მადლობა კიდევ ერთხელ გადავუხადო, რა თქმა უნდა, პატრიარქს ამ განცხადებისთვის. ეს არის, ის პრინციპი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ თითოეულმა ჩვენგანმა. იყო რამდენიმე მცირე გადახვევა ამ პრინციპიდან, თუმცა, ეს არ ცვლის, რა თქმა უნდა, საპატრიარქოს სულისკვეთებას, პატრიარქის სულისკვეთებას, ჩვენ მოვისმინეთ რამდენიმე განცხადება სასულიერო პირების მხრიდან, რომელიც უკავშირდებოდა არჩევნებს და ეს, ალბათ, არ არის სწორი. შესაბამისად, პატრიარქს ჰქონდა, ამაზე რეაგირება და ეს არის, რა თქმა უნდა, ყველას საერთო სულისკვეთება.

რაც შეეხება „დაპირისპირებას“ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, ირაკლი კობახიძის თქმით, ეს თითიდან გამოწოვილი გზავნილია, რომელსაც ის პოლიტიკური ძალები ავრცელებენ, ვინც წლებია, ეკლესიას ებრძვის“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

...წავალ, მივიღებ ამერიკის მოქალაქეობას და მალე გავხდები სენატორი

თუ ჩემი მოთხოვნები არ შესრულდება, მე წავალ, მივიღებ ამერიკის მოქალაქეობას და ძალიან მალე გავხდები ამერიკის სენატორი „კონსერვატიული პარტიიდან“. იმიტომ კი არა, რომ დავრჩე, არამედ იმიტომ, რომ გამარჯვებული ჩამოვიდე, — ამის შესახებ რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ გუშინ განაცხადა, რომელიც მომავალი კვირიდან პარლამენტის გადადგომის მოთხოვნით აქციების დაწყებას აანონსებს.

მისი თქმით, მას პრეტენზია აქვს პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში მყოფ „ქართული ოცნების“ წევრებთან. ეს არჩევნები არ იქნება სამართლიანიო, „წინასწარმეტყველებს“ რეჟისორი.

„დავრწმუნდი, რომ ეს არჩევნები არ იქნება სამართლიანი, წესიერი. იქნება ფულების ტრიალი. ამიტომ მე, როგორც ჩემი ოჯახის შვილს, როგორც რეჟისორს არ მეკადრება ასეთ საზიზღრობაში მივიღო მონაწილეობა. მე მოვხსენი ჩემი კანდიდატურა პრეზიდენტის არჩევნებზე და ჩამოვაყალიბე მოძრაობა „ხალხის ნება“, — გუშინ განაცხადა შენგელაიამ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ მან ჩამოაყალიბა მოძრაობა სახელად „ხალხის ნება“.

...ამ ჩვენს ძვირფას გოგიასა ცესკო-მ პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი უთხრა...

მეორე რომი ⑤ მესამის წინაალმდეგ...

განხეთქილება

ნატოს წევრობა ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ჩვენთვის წითელ ხაზს წარმოადგენს; ისტორიულად, ორივე რეგიონი ჩვენი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, — ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტელეკომპანია Fox-ის ეთერში, გადაცემა Special Reports-ის წამყვან ბრეტ ბაიერის კითხვას, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, ხოლო საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანია ნატოში გაწევრიანება, განიხილება თუ არა ალიანსში ქვეყნის მხოლოდ 80%-ის ინტეგრაცია.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ნატოს წევრობა არის უმთავრესი პრიორიტეტი და ამ საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. ჟურნალისტის კითხვაზე, რას უპასუხებდა ამერიკის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აშშ-ის მესამე მსოფლიოში ჩათრევის საკითხი აწუხებთ, რაც გამოწვეულია რუსეთის ქმედებებით აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, საქართველოს ჩათვლით, მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებით ჩვენი რეგიონი ბევრად უფრო პროგნოზირებადი და მდგრადი გახდება, რაც ისევ რუსეთის ინტერესებშია.

პრემიერ-მინისტრმა მალხაზ შალიკაშვილის საფლავი გვირგვინით შეამკო

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტით მყოფმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე ჯონ მალხაზ შალიკაშვილის საფლავი გვირგვინით შეამკო.

მთავრობის მეთაურმა პატივი მიაგო ქართული წარმოშობის ამერიკელი გენერლის ხსოვნას. ამერიკის შეერთებული შტატების არმიის გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი იყო. მას ეს თანამდებობა პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, 1993-1997 წლებში ეკავა. ჯონ მალხაზ შალიკაშვილი ამერიკულ არმიას 38 წლის განმავლობაში ემსახურებოდა.

საქართველო ნატოს გენმდივნის მოადგილეს ელოდება

21 სექტემბერს საქართველოს ვიზიტით ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გიოტმიოლერი ეწვევა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, ვიცე-პრემიერ, შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი გახარიას, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დავით დონდუას და თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ლელა ჩიქოვანს. უწყების ცნობით, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე მონაწილეობას მიიღებს მრგვალ მაგიდაში, რომელიც ჩატარდება თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში, საჯარო ლექციას წაიკითხავს ქართველი სტუდენტებისთვის. აგრეთვე დაესწრება მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მიღებას.

„ივლისში გამართული ნატოს ბრიუსელის სამიტის შემდეგ, სადაც პირველად ისტორიაში საქართველოს საკითხზე გაიმართა შეხვედრა მოკავშირეებთან უმაღლეს დონეზე, ახლა უკვე გენერალური მდივნის მოადგილის ვიზიტი ცხადყოფს ნატო-საქართველოს შორის არსებულ განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობებს. ეს არის კიდევ ერთი დასტური, რომ საქართველოს, ალიანსის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია“, — ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.

„ნაცმოძრაობა“ ძალიან მძიმე და მწარე მარცხს იწვნევს ამ არჩევნებზე და ჩვენ ვართ ამაზე პასუხისმგებელი

ახლა ისინი უკვე გადასული არიან საარჩევნო სიების გაყალბებაზე. მათ თავისი და თავისივე სატელიტების სახელით წარადგინეს გაყალბებული სიები, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გაყალბება „ნაცმოძრაობის“ სტილი და ხელწერაა და მიანიშნებს იმაზე, რომ „ნაცმოძრაობას“ უჭირს 30 ათასამდე ხელმოწერის შეგროვება გაყალბების გარეშე, — ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ საარჩევნო სიაში პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ხელმოწერა და პირადი მონაცემები აღმოჩნდა.

მისი ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით მმართველმა გუნდმა უკვე მიმართა უწყებათაშორის კომისიას.

„ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სტილს არ ცვლის და ალბათ ვერც ცვლის, ეს მათი სტილია. ისინი აყალბებდნენ არჩევნებს 2012 წლამდე და 2012 წლის ჩათვლით, წლების განმავლობაში. ახლა ისინი უკვე გადასული არიან საარჩევნო სიების გაყალბებაზე. მათ თავისი და თავისივე სატელიტების სახელით წარადგინეს გაყალბებული სიები, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გაყალბება „ნაცმოძრაობის“ სტილი და ხელწერაა და მიანიშნებს იმაზე, რომ „ნაცმოძრაობას“ უჭირს 30 ათასამდე ხელმოწერის შეგროვება გაყალბების გარეშე. ეს ყველაფერი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ „ნაცმოძრაობა“ ძალიან მძიმე და მწარე მარცხს იწვნევს ამ არჩევნებზე და ჩვენ ვართ ამაზე პასუხისმგებელი. შეგვიძლია, ეს დაპირება შევასრულოთ. ის ფაქტი, რომ პრემიერის ხელმოწერა არის გამოყენებული სიებში, ეს მიუთითებს გაყალბების ხარისხზე. ჩვენ მივმართეთ ამ საკითხზე უწყებათაშორის კომისიას და ველოდებით უმკაცრეს რეაგირებას, კანონიდან გამომდინარე“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია ბრიუსელში DCFTA-ის (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) პირველ არაფორმალურ მინისტერიალში მონაწილეობს, რომელიც ვაჭრობის საკითხებში ევროკომისრის სესილია მალმსტრომის ინიციატივით იმართება. მინისტერიალის დაწყებამდე გიორგი ქობულია სესილია მალმსტრომს შეხვდა. მხარეებმა საქართველოს მიერ DCFTA-ის ფარგლებში შეთანხმებული სამოქმედო გეგმის შესრულება და ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ასოცირების შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს ეფექტური განხორციელება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ითვალისწინებს მისი ეკონომიკის ევროკავშირის შიდა ბაზართან ეტაპობრივ ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი სამომხმარებლო ბაზრის ხელმისაწვდომობას ტარიფებისა და კვოტების გარეშე.

როგორც შეხვედრის შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ განაცხადა, სავაჭრო საკითხებში ევროკომისართან შეხვედრის ძირითადი თემა იყო იმ პროგრესის განხილვა, რომელიც საქართველოს აქვს ევროსტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

პირველ არაოფიციალურ მინისტერიალში ასევე მონაწილეობენ უკრაინისა და მოლდოვის სამთავრობო დელეგაციები.

პრეზიდენტობის კანდიდატების რაოდენობა იცხრილება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატობის 46 მსურველიდან 20-ს უარი უთხრა, ხოლო ორი პირის საკითხი განხილვაშია.

უარის თქმის მიზეზად ყველა შემთხვევაში ის სახელდება, რომ კანდიდატებმა მხარდამჭერთა სიები არ წარადგინეს. საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენაზე უარი ეთქვათ — გია ჩხიკვაძეს, კობა ჯულაყიძეს, გიორგი გახოკიას, ნიკოლოზ ლეკიშვილს, დავით ამაშუკელს, თამაზ ბიბილურს, ბონდო ბარათაშვილს, ელისო დონაძეს, ვაჟა ჩხაიძეს, ზაქარია როჭიკაშვილს, ზაურ მეკოკიშვილს, გიორგი შენგელაიას, ბესიკ აფხაიძეს, ავთანდილ ფილაურს, იოსებ ბიბილეიშვილს, იაკობ გრიგორიევს, ნინო ჯიქიას, დენიზა სუმბაძეს, მაია ნინუას და ივანე ნუგზარაშვილს.

მათ ინფორმაციით, განხილვის პროცესშია ორი პირის, მიხეილ ანთაძის და ოთარ მეუნარგიას საკითხი.

ყველა მათგანის კანდიდატურა საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო წარდგენილი.

ხორბლის გადაზიდვის შეზღუდვა 1 წლით გადავადდა

როგორც გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, მოხდა მძღოლების მოსაზრების გათვალისწინება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბრძანების ერთი წლით გადავადებაზე.

„ერთი წლის შემდეგ სხვა ტიპის შეზღუდვა იქნება, რომელზეც მძღოლებთან კონსულტაციას გავივლით“, — განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

ეუთოს ტრიბუნა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა იყო მთავარი თემა ღონისძიებაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილება — ეუთოს მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელი ყოველწლიური შეხვედრის (HDIM) ფარგლებში ვარშავაში 19 სექტემბერს გაიმართა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გამართულ ღონისძებაზე მოხსენებით წარსდგნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსი ნატალია ჯალიაშვილი და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ლევან მესხორაძე.

მომხსენებლებმა ვრცლად ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, ასევე საოკუპაციო ხაზთან არსებულ მძიმე ვითარებაზე. ქართველი მომხსენებლების წარდგინებაში აქცენტი გაკეთდა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ეთნიკური ქართველების მიმართ, საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან დისკრიმინაციულ მიდგომაზე, ეთნიკური ნიშნით ქართველების უფლებების სისტემატურ დარღვევებზე. მოყვანილი იქნა სიცოცხლის უფლების ხელყოფის კონკრეტული მაგალითები, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილისა და დავით ბაშარულის მკვლელობის ფაქტები. აქცენტი გაკეთდა აღნიშნულ მკვლელობებში ბრალდებული კონკრეტული პირების პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობაზე. ასევე, ზემოხსენებულ დანაშაულებთან, ისევე როგორც ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მწვავე ვითარებასთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა რუსეთის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს, ადგილზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ძალის პასუხისმგებლობის საკითხზე, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმების დაშვების აუცილებლობაზე.

ქართველმა მომხსენებლებმა ვრცლად ისაუბრეს ასევე საქართველოს სამშვიდობო ინიციატივაზე „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ და იმ კონკრეტულ ინიციატივებზე და მექანიზმებზე, რომელსაც ხსენებული ინიციატივა შეიცავს ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლებისათვის. ეუთოს მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელი ყოველწლიური შეხვედრა (HDIM) 21 სექტემბერს დასრულდება.

პოპულისტების დოლი

ნაციონალებმა იციან, რომ სახელმწიფო ღალატი აქვთ ჩადენილი და ახლა თავის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ!

პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის განცხადებამ, რომ საქართველო იყო 2008 წლის აგვისტოს ომის ინიციატორი, ერთდროულად აღაშფოთა, როგორც ოპოზიცია, ასევე „ქართული ოცნების“ ამომრჩევლი. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ სალომე ზურაბიშვილმა მოღალატეობრივი განცხადება გააკეთა და ამ მიზეზით კანდიდატურა უნდა მოხსნას.

ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა: რუსულ ოკუპაციას, აგრესიას, ასევე დანაშაულს, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და გრიგოლ ვაშაძემ ჩაიდინეს. ამ ნაწილში იყოფა ანალიტიკოსების შეფასებაც. **დავით ზარდიაშვილის** თქმით, ზურაბიშვილმა ყოფილ ხელისუფლებას 2008 წელს ჩადენილი სახელმწიფო ღალატი შეახსენა და აქვე საუბრობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, რომ სამართლებრივი მსვლელობა არ მისცა 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებს.

„ზურაბიშვილმა თქვა სიმართლე, რომელიც ყველა საერთაშორისო დოკუმენტშია დაწერილი, რომელიც ეძღვნება აგვისტოს ომის შეფასებას, დაწყებული ტალიავინის კომისიის დასკვნით. ასევე, არსებობს 2008 წლის აგვისტოში მიღებული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია, რაზეც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც აქვთ ხელი მოწერილი. ამიტომ, აქ სადავო არაფერია.

თუ საქმე ეხება კონკრეტულად აგვისტოს ეპიზოდს, ბუნებრივია, რომ რუსეთის პროვოკაციების შედეგად სააკაშვილის ხელისუფლებამ გადადგა საბედისწერო ნაბიჯი, როდესაც სამშვიდობო ზონაში დაიწყო სამხედრო ოპერაცია და ეს არის სიმართლე, ეს უნდა გავითვალისწინოთ. ზურაბიშვილი არ არის პოპულისტი. გულწრფელად ამბობს სიმართლეს. ისეთ განცხადებებს არ აკეთებს, რის მოსმენასაც მიჩვეული ვართ, ამდენი წელია“, — ამბობს **დავით ზარდიაშვილი**.

რაც შეეხება ოპონენტების შეფასებას, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ როდესაც სიმართლეს მოჰყვება ასეთი აურ-ზაური და როდესაც სიმართლის გაგების უნარი არა აქვთ, ეს არის სწორედ ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს აღწერილი აქვს „ბედნიერ ერში“.

„ერთმანეთში ერევათ ნამდვილი პატრიოტიზმი და ურაპატრიოტიზმი. რასაც ესენი ითხოვენ, ეს არის ურაპატრიოტიზმი, რასაც არანაირი არგუმენტი არ გააჩნია. სიმართლე არ მოსწონთ იმ დამნაშავეებს, რომლებმაც ეს უბედურება დაგვატეხეს 2008 წლის აგვისტოში. სააკაშვილი რომ დამნაშავეა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი გამართლდება, ეს არის სისულელე. სისულელეა რასაც ხუხაშვილი და ლაგაზიძე ამბობენ, რომ თურმე ზურაბიშვილის განცხადება არის დამაზიანებელი საქართველოსთვის.

ვინ დაიწყო აგვისტოს ომი, ეს გარკვეულია და არავითარი სალომეს განცხადება არ სჭირდება. ნაციონალებმა უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს, ეს არის ქვეყნის ღალატი. სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით ავანტიურა იყო, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს იყო კონსტიტუციის განსაკუთრებული უხეში დარღვევა, რომელსაც მოჰყვა კატასტროფული შედეგები, ეს არის სახელმწიფო ღალატი. ნაციონალებმა იციან, რომ სახელმწიფო ღალატი აქვთ ჩადენილი და ახლა თავის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ.

ყველაზე დიდი უბედურება, რაც დამოუკიდებლობის შემდეგ დაგვემართა იყო ის, რომ რუსეთმა აღიარა ჩვენი ტერიტორიები. რომ არა სააკაშვილი, რუსეთი ამას ვერ გააკეთებდა. დიახ, ამას ჰქვია სახელმწიფო ღალატი, კოჰაბიტაციის პერიოდში რაღაცნაირად გადარჩნენ და ეს არის ამაზრზენი. ახლა გადმოსულები არიან შეტევაზე და ვინც სიმართლეს იტყვის, თავდასხმაზე გადმოდიან.

რასაკვირველია, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, რომ სამართლებრივი მსვლელობა არ მისცა ამ საქმეს და ეს ადამიანები სასამართლოში არ გასამართლდნენ იმ დანაშაულისთვის, რაც 2008 წლის აგვისტოს ომში ჩაიდინეს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დავით ზარდიაშვილი.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილს თავისი წინანდელი განცხადებები რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით არ უარყვია, მან ამ საკითხზე დამატებითი განმარტება გააკეთა. პოლიტოლოგის შეფასებით, პრეზიდენტობის კანდიდატს პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზაზე არ უნდა წამოეწია ის თემები, რომელიც სხვა ქვეყანასთან და საქართველოშიც სადავოა.

„რუსეთის ოკუპანტობა იწყება მე-19 საუკუნის დასაწყისიდან და 2008 წელს განსაკუთრებულ მოვლენად არ თვლის. ის, რომ ზურაბიშვილი რუსეთის მიმართ სიმპათიით არ იქნება განწყობილი, ეს ცხადია იქიდან, თუ როგორ არის რუსეთის მიმართ განწყობილი ქართული ემიგრაცია საფრანგეთში. ისინი ემიგრანტები გახდნენ რუსეთის გამო საბჭოთა ოკუპაციის შედეგად. თუკი ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ომი დაიწყო თუ არა კონკრეტულად საქართველომ, ეს ისედაც სულელური საკითხი მგონია და ევროპელებიც სულელურად წევენ წინა პლანზე. საბრძოლო მოქმედებები მიდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ერთ მხარეს იყო საქართველო და მეორე მხარეს რუსეთი“, — აცხადებს საყვარელიძე.

პოლიტოლოგი თვლის, რომ სააკაშვილი რუსეთის ინტერესებით მოქმედებდა და არა მარტო 2008 წლის ომის დროს. მისი შეფასებით, „ქართული ოცნების“ სერიოზული შეცდომა ის არის, რომ სააკაშვილთან დაკავშირებულ კითხვებს არ გასცა პასუხი.

„აქედან გამომდინარე, საქართველომ კი არ დაიწყო ომი, არამედ, საქართველოს კონკრეტული თანამდებობის პირები რუსეთმა აამუშავა ისე, როგორც თვითონ აწყობდა. ანუ რუსეთია ამ პროცესის დირიჟორი და რა მნიშვნელობა აქვს დირიჟორის ორკესტრანტი სად ზის, საქართველოში თუ სხვაგან. ერთადერთი შეცდომა რაც შეიძლება იყოს, არის ის, რომ შესაძლოა, სროლაში ქართულ მხარეს ზედმეტი მოუვიდა და ეს იყო პროვოკაციაზე წამოგება“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

თავის მხრივ, პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რომელსაც მმართველი პარტია მხარს უჭერს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ომი ცხადია, რუსეთმა დაიწყო. ზურაბიშვილის შეცვლილმა პოზიციამ ცხადყო, რომ ანგარიშს უწევს მოსახლეობის მწვავე რეაქციას აგვისტოს ომთან დაკავშირებით. შესაბამისად, ანალიტიკოსების დაკვირვებით, ზურაბიშვილის პოზიცია იყო საზოგადოებრივი აზრის გავლენა.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების მიზეზებზე ზურაბიშვილმა პოზიცია შეარბილა, თუმცა, ოპოზიცია კვლავ ითხოვს, რომ მოხსნას კანდიდატურა. წინააღმდეგ შემთხვევაში „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგი უგულავა ჯოჯოხეთის მოწყობით ემუქრება!..

ზურაბიშვილის არჩევნებიდან მოხსნის მოთხოვნით „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივით პეტიცია შეიქმნა. პეტიციის ავტორები და ხელმომწერები ამტკიცებენ, რომ სალომე ზურაბიშვილი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ღიად და დაუფარავად ატარებს ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელიც ვნებს ქვეყნის დეკლარირებულ დასავლურ კურსს და ღირებულებებს.

თამთა ქარჩავა

ემოციური დებატები დეპუტატებს შორის

იურიდიულ საკითხთა კომისტეტის სხდომაზე სლოტ-კლუბებში თამბაქოს მოწევის შესაძლო დაშვების საკითხის განხილვას უმრავლესობის წევრებს — ლევან გოგიჩაშვილსა და აკაკი ზოიძეს შორის ხმაური მოყვა.

დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ეს საკითხი დაუშვებელია და ის პრინციპულად შეეწინააღმდეგება მას.

„საკუთარ ლოგიკას ეწინააღმდეგებით. პატარაში თუ რჩება აკრძალვა, დიდში რატომ არ რჩება? ნუ აკეთებთ ამ საქმეს, გეუბნებით მე თქვენ.

კაკი, ხელი გაუქნიე იმას, ვისთვისაც ასაქნევი გაქვს“, — მიმართა ლევან გოგიჩაიშვილმა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძესა და დეპუტატ ლევან კობერიძეს.

ზოიძემ გოგიჩაიშვილს უპასუხა — „ნუ ეჭიდავებოდა რაღაც სისულელეზე“.

აკაკი ზოიძის განცხადებით, მიზანი არის ის, რომ პატარა სლოტ-კლუბები შეიზღუდოს.

„ყველა კორპუსის ქვეშ არის და პატარა ბავშვები შედიან. ეს არის მოტივაცია, რომ იყოს მხოლოდ დიდი სლოტ-კლუბები, სადაც უცხოელები მიდიან. ეს იქნება არაპირდაპირი შედეგი, თუმცა ჩვენი მოტივაცია ეს არ არის“, — განაცხადა ზოიძემ. სხდომაზე სიტუაცია კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განმუხტა.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ დეპუტატ ლევან გოგიჩაიშვილს ემოციურობისთვის ბოდიში მოუხადა. ამის შესახებ მან კომიტეტზე განაცხადა.

„მე მინდა ბოდიში მოვუხადო ლევან გოგიჩაიშვილს, თუ რაიმე ჟესტით გამოვხატე თავიდან მოცილების მცდელობა. ეს ასე არ იყო, ბოდიშს ვიხდი ბატონო ლევან. ძალიან ემოციური საკითხია. პირადად მე ძალიან დიდი შინაგანი წინააღმდეგობა მაქვს ამ საკითხზე მსჯელობასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ როგორც სიგარეტის ბიზნესი არის სიკვდილის ბიზნესი და ხვალვე უნდა გაკოტრდეს, ისევე ვფიქრობ, რომ ძალიან ცუდი ბიზნესია სათამაშო ბიზნესი, რომელიც ადამიანის ვნებებზე მოქმედებს“.

„ევროპული საქართველოს“ შემდეგ უწყებათაშორის კომისიას „ნაციონალური მოძრაობაც“ ტოვებს

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, პარტია არ მიიჩნევს მიზანშეწონილად აღნიშნულ ფორმატში პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობას მაშინ, როცა უწყებათაშორის კომისიაში არ მონაწილეობს ობიექტური არბიტრი.

„საზოგადოებას მოეხსენება, რომ უწყებათაშორისი კომისიის ფორმატთან დაკავშირებით გაერთიანებული ოპოზიცია იმთავითვე აყენებდა საკითხს, რომ წარმოუდგენელია ფორმატი ასე გაგრძელდეს. როდესაც წულუკიანის ხელში ეს კომისია გადაიქცა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბად და არანაირ წინადადებას, არანაირი საკითხის დაყენებას კომისიაზე მნიშვნელობა არ ჰქონდა“, — განაცხადა ბეჟაშვილმა, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კონსულტაციებს აწარმოებდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან.

შეგახსენებთ, „ევროპული საქართველო“ უწყებათაშორის კომისიას ტოვებს. კომისიის წევრის ოთარ კახიძის განცხადებით კომისია საარჩევნო დარღვევებზე არ რეაგირებს.

◎ კასპიის სამიტი

ან ერთად, ან ტერორისტთა დარტყმის ქვეშ

ნაზარბაევის სტრატეგიამ თავისი ნაყოფი გამოიღო: კასპიისპირა სახელმწიფოები მეტოქეობიდან თანამშრომლობამდე

კასპიისპირა **სახელმწიფოთა მეხუთე სამიტის შედეგად, სანაპირო ზოლის ხუთი ქვეყნის — ყაზახეთის, თურქმენეთის, ირანის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს კონვენციას კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ, რომელსაც ასე დიდხანს ელოდნენ.**

ამ დოკუმენტის მოლოდინი მთელი 22 წელიწადი გაგრძელდა. იგი ამყარებს მკაფიო წესებს კასპიის კოლექტიურად გამოყენებისათვის. კასპიის ხუთეულის პრეზიდენტები მას კასპიის ზღვის „კონსტიტუციად“ მოიხსენიებენ, რითაც გამოხატავენ მის დიდ მნიშვნელობას.

აქამდე განსაკუთრებულ დოკუმენტად, რომელიც არეგულირებდა მონაპირე ქვეყნების ქმედებებს, ეკოლოგიის განსაკუთრებული აქცენტირებით, იყო თეირანის 2003 წლის კონვენცია. შემდგომ, სახელმწიფო მეთაურთა დონეზე გამართული შეხვედრების წყალობით, ისევე, როგორც ერთობლივი სამუშაო ჯგუფების მოღვაწეობის შედეგად, მიიღებოდა დამატებითი დოკუმენტები, რაც აძლიერებდა მოლაპარაკებების პროცესს. მაგრამ საბოლოო შემაჯამებელი დოკუმენტი მაინც არ არსებობდა. არადა, იგი ყველას სჭირდებოდა.

მიმდინარე წლის ზაფხულში ყაზახეთის ქალაქ აქტაუში შემდგარი კასპიის სამიტი შესაძლებელი გახდა მხარეების მიერ იმ ფაქტის გაცნობიერების შედეგად, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე მათ შორის არსებული ფარული პაექრობა შედეგის მომტანი ვერ იქნება. უწინ კასპიის ზღვას ერთმანეთში ორი სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი და ირანი იყოფდნენ. მაგრამ 1991 წლიდან კასპიის სანაპიროზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიშვნენ და კასპიისპირა სახელმწიფოთა რიცხვმა ხუთს მიაღწია. კასპიის უზარმაზარი სიმდიდრეები — თევზის რეწვით დაწყებული, დასრულებული ნავთობის მოპოვებით, თავიდან გადასანაწილებელი გახდა. აი სწორედ ამასთან დაკავშირებით გაჩნდა პრობლემები, რადგან სახელმწიფოებს ახასიათებთ მოგების მაქსიმალიზაცია თავისთვის, სხვა სახელმწიფოთა ინტერესების გაუთვალისწინებლად (რამდენადაც ეს შესაძლებელია). ამ პოლიტიკას სხვადასხვა სახელწოდება აქვს — „რეალპოლიტიკა“, „ნაციონალური ეგოიზმი“ და სხვ., მაგრამ არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. ნავთობისა და გაზის დარგის ყველა ექსპერტი თანხმდება იმაში, რომ კასპიის რეგიონი ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდეს მარაგებს შეიცავს, ზოგი მათგანი მიიჩნევს, რომ კასპიის ზღვის ზონაში მხოლოდ ნავთობის მარაგი 40 მილიარდ ბარელს აღწევს. ამიტომ ასეთი სიმდიდრეების გამო ქიშპობა გაოცებას არც იწვევს. ასე მაგალითად, აზერბაიჯანი და თურქმენეთი დიდი ხნის მანძილზე დავობდნენ კასპიის ზღვის ცენტრალურ ნაწილში არსებული ნავთობისა და გაზის საბადოების კუთვნილებაზე, არც რუსეთი და ირანი იყვნენ გულგრილნი, რომელთაც, დანარჩენებისგან განსხვავებით, ყველაზე უფრო ძლიერი სამხედრო ფლოტილია აქვთ კასპიის ზღვაზე. ხანდახან საკმაოდ სახიფათო ინციდენტებსაც ჰქონდა ადგილი. ასე მაგალითად, 2001 წელს ირანის სამხედრო ავიაცია და სამხედრო გემი დაემუქრნენ „ბრიტიშ პეტროლეუმის“ გემს, რომელიც ნავთობის დაზვერვის მიზნით სამუშაოებს ატარებდა ზღვის სადავო აკვატორიაში, აზერბაიჯანსა და ირანს შორის.

ყაზახეთის პრეზიდენტმა თავიდანვე სწორი სტრატეგია აირჩია. მან გათვალა, რომ პაექრობა და კონფრონტაცია არ მისცემს შედეგს კასპიის რეგიონში დაინტერესებულ არც ერთ მხარეს, და, შესაბამისად, თანამშრომლობას ალტერნატივა არ გააჩნია. პოსტსაბჭოთა სივრცეზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საინტეგრაციო პროექტის ავტორი ნურსულთან ნაზარბაევი ყოველთვის განიხილავდა კასპიის ზღვას და რეგიონს, როგორც კომპრომისებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ობიექტს. ამ დასკვნამდე კასპიის ზღვის სხვა მონაპირე სახელმწიფოთა ლიდერები თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდნენ, ამაში კი თავისი წვლილი ყაზახეთის ლიდერმა შეიტანა.

კასპიისპირა სახელმწიფოთა ასტრახანის 2014 წლის სამიტზე ნაზარბაევმა მკაფიოდ განაცხადა, რომ „მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით მივალთ სასურველ შედეგამდე ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების საკეთილდღეოდ“, რითაც მან თავის კოლეგებს მოუწოდა, მიახლოებოდნენ კასპიის სტატუსის საბოლოო განსაზღვრას.

მაშ ასე, შეთანხმება მიღწეულია 2018 წელს. კონვენციის არსი არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოებმა გაიყონ ზღვა. მისი ზუსტი საზღვრების დადგენა და დადასტურება ჯერ კიდევ წინ არის. უფრო მნიშვნელოვანი იყო შეთანხმების მიღწევა წყლის სივრცისა და ფსკერის გამოყენების შესახებ, ხუთეულიდან თითოეული მათგანისათვის მისაღები პირობებით. ჯამში, შეირჩა ის ვარიანტი, რომელსაც ყველა მათგანი ეთანხმებოდა.

„ჩვენ დავადგინეთ ტერიტორიული წყლები 15 საზღვაო მილის სიგანით, ამასთან, მათი გარე საზღვრები იღებენ სახელმწიფო საზღვრის სტატუსს. ტერიტორიულ წყლებს ეკვრის ათმილიანი სათევზაო ზონები, სადაც ყოველი სახელმწიფო ფლობს რეწვის ექსკლუზიურ უფლებებს. სათევზაო ზონების მიღმა ნარჩუნდება საერთო საზღვაო სივრცე. სახელმწიფო-საზღვაო საზღვრებს იქით იმოქმედებს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მონაპირე ქვეყნების დროშების ქვეშ მოცურავე გემებისათვის. მნიშვნელოვანია შეთანხმება სხვა ზღვებთან და მსოფლიო ოკეანესთან ტრანზიტის თავისუფლების თაობაზე. ყოველი სახელმწიფო ახორციელებს სუვერენულ უფლებას ფსკერის საკუთარ სექტორში წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებით. ამასთან, გათვალისწინებულია ზღვის ფსკერზე მაგისტრალური მილსადენებისა და კაბელების გაყვანა, ეკოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით“ — აღნიშნა ნურსულთან ნაზარბაევმა სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.

კონვენციის ხელმოწერის შედეგად, ნარჩუნდება კასპიის ფლორა და ფაუნა, ეკოლოგიის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კასპიის ზღვაზე განხორციელებული მოქმედებები მთლიანობაში დარეგულირდება ეკოლოგიური პოლიტიკის პრიზმით. ეკოლოგიური ასპექტი მოახდენს ბევრ სექტორში ლიმიტების დაწესებას — პირველ ყოვლისა, მომპოვებელ მრეწველობასა და ტრანსპორტის სფეროში, ასევე გავლენას მოახდენს თევზჭერის რეჟიმზე.

შეთანხმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ტერორიზმთან დაკავშირებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება. ექსპერტები დოკუმენტს დროულად მიიჩნევენ, რადგან ცნობილია, რომ კასპიის ზღვა არც ისე შორსაა ტერორისტების აქტიურობის კერებიდან (სირია, ერაყი, ავღანეთი), ამიტომ ტერორიზმის დარტყმის ქვეშ, შესაძლოა, აღმოჩნდნენ კასპიის რეგიონში გამავალი ენერგორესურსების მაგისტრალები, ისევე, როგორც თავად ნავთობისა და გაზის მომპოვებელი საზღვაო პლატფორმები. ეს გარემოება დიდი საფრთხის მატარებელია თითოეული მხარისათვის.

კასპიის რეგიონში ომი თეორიულადაც რომ გამოირიცხოს, ნაზარბაევმა ხუთეულს დამატებითი წინადადებით მიმართა, კერძოდ, დაიდოს ცალკე ხელშეკრულება კასპიის ზღვაზე სამხედრო სფეროში ნდობის ღონისძიებების შესახებ.

„ზღვები ერთმანეთისგან ჰყოფენ მიწებს, მაგრამ ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ ხალხებს“ — დარწმუნებულია ყაზახეთის პრეზიდენტი. იგი კასპიის რეგიონს მიიჩნევს ჩინეთსა და ევროპას შორის ტვირთბრუნვის ზრდის შესაძლებლობად, ყაზახეთისა და კასპიის ზღვის გავლით ტრანზიტების მეშვეობით. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ამიტომაც ჩვენი ქვეყანა დიდი სერიოზულობით უნდა ეკიდებოდეს ყაზახეთის პოლიტიკას, რომელიც, თავის მხრივ, ჭეშმარიტად მეგობრულ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც გახსნილია ახალი იდეებისა და ერთობლივი პროექტებისათვის.

გულბაათ რცხილაძე

თბილისში ინტერპოლის წევრი ქვეყნების საპოლიციო თანამშრომლები შეიკრიბნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერპოლის“ ორგანიზებით, თბილისში, ინტერპოლის წევრი ქვეყნების მიერ შექმნილი პროექტი „კალკანის“ სამუშაო ჯგუფის და ოპერაცია „კორალის“ მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების საერთაშორისო შეხვედრები მიმდინარეობს.

შეხვედრებში საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს პროექტი „კალკანის“ წევრი ქვეყნების 28 დელეგატი: სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, ერაყიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქეთიდან, თურქმენეთიდან, უზბეკეთიდან და ოპერაცია „კორალის“ 53 მონაწილე. შეხვედრებს, ასევე, ესწრებიან ინტერპოლის გენერალური სამდივნოს წევრები.

პროექტი „კალკანი“ 2002 წელს ინტერპოლის წევრი ქვეყნების მიერ შეიქმნა და მისი მიზანია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლობა. პროექტის ფარგლებში ქვეყნებს შორის გაღრმავებული თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი გახდა კიდევ უფრო მეტი ტერორისტის საერთაშორისო დონეზე ძებნა და დაპატიმრება.

ოპერაცია „კორალი“ კი ცენტრალური აზიიდან და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებიდან ინტერპოლის მიერ შერჩეულ ქვეყნებს აერთიანებს, რომელთა შორის საქართველოც არის. ოპერაციაში მონაწილე ქვეყნების მიზანია ცენტრალურ აზიაში მოქმედი უცხოელი მებრძოლი-ტერორისტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

თბილისში მიმდინარე ინტერპოლის წევრი ქვეყნების შეხვედრების მიზანია აღნიშნული ინფორმაციის პერიოდულად განახლების მექანიზმების განხილვა, ტერორისტთა გადაადგილების ახალ ტალღასა და მათი ადგილსამყოფლის არეალის შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობა.

მეორე რომი მესამის წინააღმდეგ...

ᲑᲝᲚᲝ დროს მართლმადიდებლურ სამყაროში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ ახლახან, 7 სექტემბერს, უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მისანიჭებლად მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება დაიწყო და კიევში — მოსკოვის საპატრიარქოს კანონიკურ ტერიტორიაზე — თავის ეგზარქოსებად პამფილიის მთავარეპისკოპოსი დანიელი(აშშ) და ედმონტონის ეპისკოპოსი ილარიონი (კანადა), დანიშნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან, უწმინდეს კირილესა და კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტთან, უნეტარეს ონუფრისთან შეუთანხმებლად სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნით კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ არ გაითვალისწინა ის საეკლესიო კანონები, რომლებიც ერთი ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსებს მეორე ადგილობრივი ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევას პირდაპირ უკრძალავს.

სამწუხაროა, რომ კონსტანტინეპოლის ახლანდელი პოზიცია პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა. მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს, რომელიც კონსტანტინეპოლის ტახტზე 1991 წელს ავიდა, აქამდე უკრაინის ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით არავითარი ეჭვი არ გასჩენია. მისთვის სადავო არასოდეს გამხდარა არც რუსეთის საპატრიარქოს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მის იურისდიქციაში მყოფ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას დამოუკიდებელი მმართველობის უფლება ჰქონდა მინიჭებული.

ახლა კი, ფანარის (ფანარი სტამბოლის პატარა რაიონია, სადაც კონსტანტინეპოლის პატრიარქთა რეზიდენცია მდებარეობს) ადმინისტრაციამ საუკუნეთა განმავლობაში შეუმჩნეველი „ისტორიული და კანონიკური საფუძვლები“ აღმოაჩინა და ეკლესიის ერთობის დაცვის სანაცვლოდ, უკრაინის პრეზიდენტის პ. პოროშენკოსა და სქიზმატიკოსთა მოთხოვნებს დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა განხეთქილებაში მყოფ ფილარეტ დენისენკოს (ალბათ გახსოვთ, ამ განკვეთილ იერარქთან მ. საакაშვილის ახლობლურ ურთიერთობაზე ჩვენ ადრე სტატიაც გამოვაქვეყნეთ) დაჯგუფებისა, პოლიტიკოსების ერთი ნაწილი, რომელიც დღეს უკრაინაში საეკლესიო პროცესებს წარმართავს, ან აშკარა ათეისტია, ან არამართლმადიდებლურ თემს წარმოადგენს.

ამიტომ რუსოფობიას აყოლილმა ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სხვა ადგილობრივი ეკლესიის საქმეში უკანონოდ ჩარევით არა მარტო რუსეთის საპატრიარქოსთან განხეთქილების პროვოცირებას ახდენს, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობას რეალურ საფრთხეს უქმნის.

მოსალოდნელია, რომ საქართველოში თავს მალე წამოყოფენ ე. წ. ექსპერტები და თეოლოგები, რომლებიც პოლიტიკურ ზედწოდებას „ოკუპანტისა“ რელიგიური შუღლის გასამწვავებლად გამოიყენებენ და არა საეკლესიო კანონთა აღსრულებას, არამედ ეთნოფილეტიზმის ერესის განვითარებასა და სარწმუნოებრივი საკითხების მანიპულირებით ეროვნებათა შორის დაპირისპირებას შეუწყობენ ხელს. პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, რუსეთთან დაპირისპირების დასავლური პროგრამა მუშაობს, მაგრამ იდეოლოგები მაინც ამჩნევენ, რომ მართლმადიდებლებს, განურჩევლად ეროვნებისა, უყვართ ერთმანეთი და ისინი დღემდე მეორედ მოსვლისა ერთმანეთისთვის ლოცვას არ შეწყვეტენ.

საფიქრებელია, რომ ჭეშმარიტების გონიერმა მტრებმა შეიმუშავეს გლობალური გეგმა, რომელიც მიზნად ადგილობრივი ეკლესიების ერთმანეთისგან გათიშვას ისახავს. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას მსოფლიო პარტიარქის ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც მას ყველა ადგილობრივ ეკლესიასთან უნდა შეეთანხმებინა. სწორედ ამისკენ მიანიშნა პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და გააფრთხილა, რომ ასეთი ნაჩქარევი მოქმედებები უკრაინის განხეთქილებას კიდევ უფრო გააღრმავებს; ხოლო სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ირინეოსმა პატრიარქ ბართლომეოსს სთხოვა, ხელი აიღოს უკრაინისთვის ავტოკეფალიის ტომოსის მიცემაზე, რადგან უკრაინის საეკლესიო ორგანიზაციაზე კანონიკური და ისტორიული უფლება მხოლოდ რუსეთის ეკლესიას აქვს; ამასთან, მან კონსტანტინეპოლის პატრიარქი გააფრთხილა, რომ მისთვის ცნობილია ანალოგიური გეგმა „მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის“ შესაქმნელად და გამოთქვა აზრი, რომ ეს დამღუპველი საქმიანობა აუცილებლად უნდა შეჩერდეს.

თვით რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ საგანგებოდ მოწვეულ წმიდა სინოდის სხდომაზე დაადგინა (14.09.2018), რომ

შეაჩერებს კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსის ლოცვაში მოხსენიებას ღმრთისმსახურების დროს და მსახურებას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იერარქებთან ერთად; აგრეთვე, მონაწილეობას არ მიიღებს არც ერთ ღონისძიებაში, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით ან თანათავმჯდომარეობით გაიმართება.

აღნიშნული დადგენილება, თავისთავად, კანონიკური და ევქარისტიული კავშირის გაწყვეტას არ ნიშნავს, მაგრამ მსოფლიო პატრიარქის პოზიცია მოვლენების გამოსწორების საშუალებას არ იძლევა. მისი პრეტენზია მთელი მართლმადიდებელი მსოფლიოს სახელისუფლო პირველობაზე სპეციალისტთა მიერ უკვე შეფასდა, როგორც „აღმოსავლური პაპიზმი“. სწორედ ამ ბოლო დღეებში წარმოთქვა მან ფრაზები: „კონსტანტინეპოლის პატრიარქი — ეს არის თავი მართლმადიდებლობის სხეულისა“, „დასაბამი მართლმადიდებლური ეკლესიისა მსოფლიო პატრიარქია“, „მართლმადიდებლობა ვერ იარსებებს გარეშე მსოფლიო პატრიარქისა“.

გასაგებია, რომ მეორე რომს დღევანდელ მართლმადიდებელ მსოფლიოში ყველაზე დიდ, ძლიერ და გავლენიან რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირება გაუჭირდება, მაგრამ ამ მოტივით საკუთარი საპატრიარქო ტახტისთვის პრიმატის მინიჭება მართლმადიდებლობის საზღვრებს სცდება და „ექს კათედრის“ სტატუსს იძენს, რომლის ძალითაც რომის პაპები მთელ კათოლიკურ ეკლესიაზე ერთპიროვნულად მბრძანებლობენ.

ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის სწორედ ისაა, რომ პაპს შეთავსებული აქვს ისეთივე უფლებრივი ფუნქცია, რომელიც მართლმადიდებელთათვის მსოფლიო საეკლესიო კრებას, ანუ ყველა ადგილობრივი ეკლესიის ერთობას აქვს. კონსტანტინეპოლის პატრიარქის „მსოფლიო“ ტიტული არა ხელისუფლების ფლობის პრიმატზე, არამედ პატივის მისედვით პირველობაზე მიანიშნებს. ადგილობრივი ეკლესიებისა და მათი მეთაურების მოსახსენებელ სიაშიც, რომელსაც დიპტიქი ეწოდება, კონსტანტინეპოლის პატრიარქს პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს პირველობა არა მის ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას, არამედ ისტორიულად დადგენილ საპატიო რიგს ასახავს.

XI ს-მდე დიპტიქში პირველობა რომის ეკლესიის საჭეთმპყრობელს ეკუთვნოდა, მაგრამ გაკათოლიკების შემდეგ მისი ადგილი კონსტანტინეპოლის პატრიარქს მიენიჭა, რადგან იგი მომდევნო იყო პატივდებულთა რიგის მიხედვით. საფუძვლად ამ მოქმედებას უდევს პრინციპი: რომელიმე ადგილობრივი ეკლესია თუ ჭეშმარიტებას განუდგა, მართლმადიდებელი ეკლესია თავის სიწმინდეს, ერთობასა და სისავსეს სრულიად ინარჩუნებს. ამიტომ არავითარი გამართლება არა აქვს რომელიმე საყდრის თვითგანდიდებას, თუნდაც იგი მატარებელი იყოს წოდებისა „მსოფლიო“.

რუსოფობიას აყოლილმა ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სხვა ადგილობრივი ეკლესიის საქმეში უკანონოდ ჩარევით არა მარტო რუსეთის საპატრიარქოსთან განხეთქილების პროვოცირებას ახდენს, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობას რეალურ საფრთხეს უქმნის.

ვითარებას განსაკუთრებით ამძიმებს ფანარის აბსურდული მცდელობა რუსეთის ეკლესიისთვის კანონიკურ უფლებამოსილებათა ჩამორთმევის თაობაზე. კონსტანტინეპოლის საყდარი ესწრაფვის რა, თავისი იურისდიქცია განავრცოს კიევის მიტროპოლიაზე, აცხადებს, რომ კიევის მიტროპოლია მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში არასდროს შედიოდა. ბუნებრივია, რუსეთის ეკლესიას ყველა დოკუმენტი მოეპოვება კანონიერ უფლებათა დასაცავად, მაგრამ ფანარის წარმომადგენლები თავს როგორ იმართლებენ ადგილობრივი ეკლესიების წინაშე, როცა ისინი ავტოკეფალიის მინიჭებას აპირებენ კრებულისთვის, რომელიც საერო ხელისუფლების დავალებით სქიზმატიკოსებისგანაა შემდგარი.

კონსტანტინეპოლის ეკლესიის იერარქები „ანტიკანონიკურად“ მოიხსენიებენ კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონუფრის იმის გამო, რომ იგი კონსტანტინეპოლის პატრიარქს ლოცვებში არ იხსენიებს. მაშინ, როცა 2016 წლის იანვარში, შამბეზიში, ადგილობრივ ეკლესიათა წარმომადგენლების შეკრებაზე, თვით პატრიარქი ბართლომეოსი მიტროპოლიტ ონუფრის საქვეყნოდ უწოდებდა ერთადერთ კანონიერ მეთაურს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა. იქვე კონსტანტინეპოლის ეკლესიის მეთაურმა პირობა დადო, რომ არც კრეტის კრებაზე და არც მის შემდეგ არავინ შეეცდებოდა განხეთქილების ლეგალიზებას და ცალმხრივად, კრებსითი გადაწყვეტილების გარეშე, არავის მიენიჭებოდა ავტოკეფალია.

სამი წელიწადიც კი არ დასჭირდა იერარქთა პოზიციების რადიკალურად შეცვლას, რომელმაც მართლმადიდებლური სამყარო უკვე სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა. სხვათა შორის, ეს ჩვენი პოლიტიკოსებისთვისაც გამოცდაა, ვინაიდან ისინიც ქრისტიანული ქვეყნის შვილები არიან და მათ მიერ სწორი (თუნდაც, არაპრაგმატული) მიმართულების არჩევას სამშობლოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ღმრთის მიერ ადამიანის ღირსება უცვლელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი კატეგორიებით ფასდება: „მე იგივე ვარ, მარად და მარად“, და არა რომაელთა სენტენციების პრინციპით: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“.

სანამ სტატიას დავასრულებდეთ, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ საკითხი, რომელიც სქიზმატურმა პრობლემებმა უკანა პლანზე გადაიტანა. **კონსტანტინეპოლის ეკლესიის კიდევ ერთი გაუმართლებელი გადაწყვეტილებით (სტამბოლი, 1-3 სექტემბერი, 2018) მის იურისდიქციაში მყოფ მღვდლებსა და დიაკვნებს მეორედ ქორწინების უფლება მიეცათ.** მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა საკითხი სამღვდელოების მეორედ ქორწინების შესახებ ჯერ კიდევ 2016 წელს კრეტის კრებაზე გამოიტანა, ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ მის მიღებაზე უარი განაცხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლისთვის ყავლი გაუვიდა ეკლესიის საერთო აზრსა და სჯულიერ კანონებს. **ამ ლიბერალური კანონის დამტკიცებით სრულიად ირღვევა მორალური ზღუდე, რომელიც მოძღვარსა და მრევლს შორის სულიერ, ანუ მამაშვილურ ურთიერთობას განსაზღვრავს. ფაქტობრივად, ფანარის ახალი კანონი სულიერ მამას პოტენციურად საქმროს სტატუსს ანიჭებს, რომელიც მან სულიერ შვილებს შორის საცოლის ამოსარჩევადაც შეიძლება გამოიყენოს.**

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲠᲐᲓᲝᲒᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲒᲛᲝᲑᲡ ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲬᲕᲐᲚᲔᲑᲚᲣᲠ ᲡᲘᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲘᲧᲝᲜᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲝᲠᲓᲔᲡ.

ᲑᲔᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲠᲣᲮᲐᲫᲔ),
ფილოსოფიის დოქტორი.

ფილმს, რომელიც რელიგიას შეურაცხყოფს, არ გავახმოვანებთ

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ მდებარე კინო „საქართველო“ საშინელებათა ფილმ „მონაზვნის წყევლას“ ქართულად არ გაახმოვანებს და მას მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენაზე აჩვენებს.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაში კინო „საქართველო“ აღნიშნავს, „ადმინისტრაციამ ნახა ფილმი და გადაწყვეტილება იქედან გამომდინარე მიიღო, რომ ფილმი აკნინებს და შეურაცხყოფს რელიგიას“.

„27 სექტემბრიდან ვგეგმავდით ფილმის „მონაზვნის წყევლა“ ქართული დუბლიაჟის მომზადებას, მაგრამ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ფილმს ქართულად არ გავახმოვანებთ.

ადმინისტრაციამ ნახა ფილმი და გადაწყვეტილება იქედან გამომდინარე მიიღო, რომ ფილმი აკნინებს და შეურაცხყოფს რელიგიას. ჩვენ პატივს ვცემთ მორწმუნეთა გრძნობებს და რწმენას, ფილმი წარმოდგენილი იქნება სეანსების მცირე რაოდენობით, რუსულ და ინგლისურ ენებზე“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის, საშინელებათა ჟანრის ფილმი „მონაზვნის წყევლა“ რუმინეთში მონაზვნის თვითმკვლელობის ამბავს ეხება.

მარიხუანა მართლა დიდი სიმდიდრის მატარებელია?!

რაც უფრო ხელმისაწვდომი ხდება მარიხუანა, მით მეტს საუბრობენ მის სამკურნალო თვისებებზე

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ანანდამიდი მის ტვინს ფიზიკური თუ ემოციური ტრავმებით გამოწვეული სხვადასხვა დაზიანებისგან იცავს. გუზმანის ლაბორატორიაში იკვლევენ, ხომ არ ასრულებენ იმავე ფუნქციას კანაფში შემავალი ქიმიური ნივთიერებები და ასევე, კანაბინოიდები? „რასაკვირველია, ჩვენს ტვინს რაღაცების დამახსოვრება სჭირდება, – ამბობს გუზმანი, – თუმცა, მისთვის აუცილებელია დაივიწყოს საზარელი თუ მისთვის არასაჭირო ამბებიც. ეს ძალიან ჰგავს კომპიუტერის მეხსიერებას – პერიოდულად თქვენ შლით გამოუსადეგარ ძველ ფაილებს. ასევე უნდა დავივიწყოთ ყველაფერი, რაც შეარყევს ჩვენს ფსიქიკურ ჯანმრთელობას – ომი, ტრავმა, უსიამოვნო ისტორიები. კანაბინოიდების სისტემა მნიშვნელოვანია მძიმე მოგონებებისგან გასათავისუფლებლად“.

პრესასა და ფარმაცევტულ კომპანიებს ყველაზე მეტად მაინც გუზმანის ტვინის სიმსივნის კვლევა აინტერესებთ. წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგად, მეცნიერი დარწმუნდა, რომ THC-ს, CBD-ს და ტემოზოლომიდის (ზომიერად წარმატებული და საყოველთაოდ აღიარებული პრეპარატი) კომბინაცია საუკეთესო შედეგს იძლევა თაგვებში თავის ტვინის სიმსივნის მკურნალობისას. როგორც ჩანს, ამ სამი კომპონენტისგან შემდგარი კოქტეილი სხვადასხვანაირად უტევს თავის ტვინის სიმსივნურ უჯრედებს, ხელს უშლის გავრცელებას და, ამავე დროს, თვითგანადგურებისკენ უბიძგებს მათ.

ამჟამად, გუზმანის შრომაზე დაფუძნებული ინოვაციური კლინიკური ექსპერიმენტი მიმდინარეობს ინგლისში, ლიდსის სენტ-ჯეიმსის უნივერსიტეტის კლინიკაში. ნეიროონკოლოგები აგრესიული ტვინის სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს ტემოზოლომიდითა და სატივექსით მკურნალობენ. სატივექსი ბრიტანული ფარმაცევტული კომპანიის (GW Pharmaceuticals) მიერ შემუშავებული THC-CBD-ს შემცველი ორალური აეროზოლია.

გუზმანი ნამდვილად არ არის ზედმეტად ოპტიმისტურად განწყობილი, თუმცა მიესალმება, რომ კვლევა უშუალოდ ადამიანებზეც დაიწყო. „ობიექტურები უნდა ვიყოთ. დღეს მსოფლიოში აზროვნების ოდნავი გადაფასება მაინც ხდება. ფინანსურმა ინსტიტუტებმა უკვე იციან, რომ მარიხუანა არის მეცნიერული თვალსაზრისით სერიოზული, თერაპიული თვალსაზრისით იმედის მომცემი და კლინიკურად რელევანტური პრეპარატი“.

დაგვეხმარება კანაფი კიბოსთან ბრძოლაში? – ვეკითხები მას. „ინტუიცია მკარნახობს, რომ ეს რეალურია“, პასუხობს გუზმანი.

მომვლელი... სამედიცინო მიგრანტები

შეტევები 2013 წლის მაისში დაეწყო, მაშინ სულ 6 თვის იყო. ინფანტილური სპაზმები, როგორც უწოდებდნენ. შიშის რეფლექსს ჰგავდა – ხელები ტანისკენ ეგრიხებოდა, სახეზე შეშინებული და გაყინული გამომეტყველება ჰქონდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ადელინ პატრიკის პატარა ტვინი ბორგავდა, თითქოს მასში ელექტრომაგნიტური ქარიშხალი ტრიალებდა. „ეს იყო ყველაზე საშინელი კოშმარი, რაც კი შეიძლება დედამ გადაიტანოს. უბრალოდ იტანჯები, როცა საკუთარი შვილის ტკივილსა და შიშს უყურებ და აბსოლუტურად უმწეო ხარ, ვერაფერს აკეთებ ამის შესაჩერებლად“, – იხსენებს მეიგანი. მეიგანმა და მისმა მეუღლემ, კეინმა ადი (ადელინი) მეინის შტატის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე პატარა ქალაქიდან ბოსტონში, ნევროლოგებთან საკონსულტაციოდ ჩაიყვანეს. ექიმის დასკვნით, ეს ეპილეფსიური შეტევები შიზენცეფალიად წოდებული ტვინის თანდაყოლილი პათოლოგიის შედეგი იყო. ადის თავის ტვინის ერთ-ერთი ნახევარსფერო საშვილოსნოში სრულად ვერ განვითარდა და პათოლოგიური ნაპრალი დატოვა. მას ასევე ჰქონდა ამ პათოლოგიასთან დაკავშირებული სინდრომი – თვალის ნერვის ჰიპოპლაზია, რის გამოც თვალებს აცეცებდა. ამ სინდრომმა, როგორც შემდგომმა დაკვირვებებმა გამოავლინა, ბავშვი თითქმის დააბრმავა. ზაფხულში ადის დღეში 20-30 შეტევა ჰქონდა. შემდეგ – 100, შემდეგ უკვე 300. „თითქოს ყველაფერმა ერთდროულად უმტყუნა, – ამბობს მეიგანი, – გვეშინოდა, რომ დავკარგავდით“.

პატრიკებმა დაუჯერეს ექიმის რჩევას. პატარას დიდი დოზებით აძლევდნენ ანტიკონვულსანტებს. ძლიერმოქმედმა პრეპარატებმა შეამცირეს შეტევების რაოდენობა, თუმცა ადი თითქმის მთელი დღის განმავლობაში ძილად მიეგდო. „ამ ქვეყანას არ იყო, – ამბობს მეიგანი, – მხოლოდ იწვა და სულ ეძინა. ჭინჭის თოჯინას ჰგავდა“.

ქალიშვილისთვის რომ მოევლო, მეიგანმა მასწავლებლობა მიატოვა. ცხრა თვის განმავლობაში ადი ოცჯერ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ერთხელ, ქმრის ნათესავებმა ურჩიეს, სამკურნალო მარიხუანისთვის მიემართა. ქალს შიშისგან თავზარი დაეცა: „ჩვენ ისეთ რამეზე ვსაუბრობდით, რაც ფედერალური კანონებით აკრძალული ნარკოტიკია“, – იხსენებს ის. თუმცა, ამის შემდეგ იგი მაინც დაინტერესდა მარიხუანის თვისებებით და თავად დაიწყო ინფორმაციის ძიება. მიუხედავად სიმწირისა, ამ შინაარსის სამედიცინო ლიტერატურას საოცრად დიდი ხნის ისტორია აქვს. უამრავი არაოფიციალური მტკიცებულების მიხედვით, CBD-ს მაღალი შემცველობის კანაფს შეიძლება ძლიერი კრუნჩხვის საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდეს. ჯერ კიდევ 1843 წელს ბრიტანელი ექიმის უილიამ ო' შონესის მიერ გამოაქვეყნებულ სტატიაში დეტალურად იყო აღწერილი, როგორ შეუჩერა ჩვილს გამუდმებული კრუნჩხვები კანაფის ზეთმა.

2013 წლის სექტემბერში ბოსტონში მდებარე მასაჩუსეტსის მრავალპროფილიან ჰოსპიტალში პატრიკებმა გაიცნეს ბავშვთა ნევროლოგი ელიზაბეტ თილი, რომელიც ბავშვთა რეფრაქტერული ეპილეფსიის მკურნალობისას CBD-ს გამოყენების კვლევაში იღებდა მონაწილეობას. თილი ლეგალურად ვერ გამოუწერდა ბავშვს მარიხუანას და ვერც რეკომენდაციას გაუწევდა. მაგრამ მან კატეგორიულად ურჩია პატრიკებს, სერიოზულად განეხილათ მკურნალობის ყველა საშუალება.

იმედით ფრთაშესხმული მეიგანი კოლორადოში გაემგზავრა და შეხვდა მშობლებს, რომელთა ეპილეფსიით დაავადებული ბავშვებიც სამკურნალოდ მარიხუანას იღებდნენ. პროგრამას „შარლოტას ქსელი“ უწოდეს, პატარა გოგონას – შარლოტა ფიჯის სახელი, რომელზეც განსაცვიფრებლად დადებითად იმოქმედა კოლორადო-სპრინგსის მახლობლად წარმოებულმა THC-ს დაბალი შემცველობისა და CBD-ს მაღალი შემცველობის ზეთმა.

კოლორადოში ნანახმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეიგანზე: კანაფის მწარმოებელთა ცოდნამ, საერთო განსაცდელის მქონე მშობლების ურთიერთმხარდაჭერამ, აფთიაქების ხარისხმა და საცდელ ლაბორატორიებში კანაფის მუდმივმა კვლევამ. კოლორადო-სპრინგსი სამედიცინო მიგრაციის მექად ქცეულიყო. ასზე მეტმა ოჯახმა, რომელთა ბავშვებს სიცოცხლისთვის საშიში დაავადებები ჰქონდათ, მიატოვა მშობლიური მხარე და კოლორადოში დაიდო ბინა. ეს ოჯახები (ბევრი მათგანი დაკავშირებულია არაკომერციულ ორგანიზაციასთან „ზრუნვის სამეფო“) საკუთარ თავს „სამედიცინო ლტოლვილებად“ თვლიან. ბავშვების უმეტესობა ვერაფრით შეძლებდა საკუთარ შტატში მკურნალობას. მშობლებისათვის ეს დიდი რისკი იყო, ისინი შეიძლება დაეპატიმრებინათ ტრეფიკინგის ან სულაც ბავშვების არასათანადო მოპყრობის ბრალდებით.

მეიგანმა CBD-ს მაღალი შემცველობის ზეთის გამოყენება სცადა. კრუნჩხვები თითქმის მთლიანად შეწყდა. ბავშვს ექიმების მიერ გამოწერილი ზოგიერთ პრეპარატსაც აღარ აძლევენ. თითქოს, ბავშვი კომიდან გამოვიდაო. „ვითომ დიდი არაფერია, – ამბობს მეიგანი, – მაგრამ, როდესაც თქვენი შვილი მრავალი თვის შემდეგ პირველად გაიღიმებს, იმ წუთიდან თქვენი სამყარო მთლიანად იცვლება“.

გასული წლის დასაწყისისთვის პატრიკებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ საცხოვრებლად კოლორადოში გადავიდოდნენ და მოძრაობას შეუერთდებოდნენ. „ამას ბევრი ფიქრი ნამდვილად არ სჭირდებოდა, მარსზეც რომ ხარობდეს ისეთი რაღაც, ადის რომ უშველის, ჩემს საკუთარ ეზოში კოსმოსურ ხომალდს ავაგებდი!“

2014 წლის მიწურულს პატრიკები მოვინახულე. ისინი კოლორადო-სპრინგსის ჩრდილოეთ ნაწილში, ახალ ბინაში ცხოვრობდნენ. მათი მისაღები ოთახის ფანჯრიდან პაიკსის მწვერვალი მოჩანდა. ადი კარგადაა. CBD-ს შემცველი ზეთის პირველი მიღების შემდეგ, ის ჰოსპიტალში აღარ ყოფილა. ჯერ კიდევ აქვს შეტევები – დღეში ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ ნაკლები ინტენსივობის. თვალებიც ნაკლებად გაურბის. მეტს ისმენს. იცინის. ჩახუტება ისწავლა და ხმის იოგების ძალაც აღმოაჩინა, გვარიანად ყვირის.

კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ „ზრუნვის სამეფოში“ მშობლები შვილებს ისე ექცევიან, როგორც ლაბორატორიულ ვირთხებს, რომ არასაკმარისი კვლევაა ჩატარებული, რომ გამოჯანმრთელების ბევრი, თუ არა უმეტესი შემთხვევა, შესაძლოა, პლაცებოს ეფექტს მიეწეროს. „ეს მართალია. ჩვენ არ ვიცით CBD-ს გრძელვადიანი შედეგები და ეს გამოსაკვლევია. მაგრამ ერთი კი შემიძლია ვთქვა, რომ ამის გარეშე ადი კარტოფილის ტომარასავით იქნებოდა“ და ამატებს: „რატომღაც არავინ ინტერესდება, როგორი იქნება იმ ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტის გრძელვადიანი ეფექტი, რომელიც ჩემი ორი წლის გოგონას მუდმივად ჰქონდა გამოწერილი“. „ჩვენი დაზღვევა ულაპარაკოდ, ყოველგვარი კითხვების გარეშე იხდის მასში ფულს. არადა, ხომ ვიცით, რომ ის ძლიერი დამოკიდებულების გამომწვევია, მაღალტოქსიკური, შეუძლია ზომბად გადაგაქციოს და ფაქტიურად მოგკლას. მაგრამ მაინც, ეს მედიკამენტები სრულიად ლეგალურია“.

თილის თქმით, მართალია, CBD-ს კვლევის პირველადი შედეგები ძალიან იმედისმომცემია, „მაგრამ, CBD პანაცეა არ არის და ყველასთვის არ გამოდგება. თუმცა, განცვიფრებული ვარ, რადგან ბევრისთვის შეიძლება აშკარად მეტად ეფექტიანი საშუალება იყოს. ჩემს კვლევაში რამდენიმე ბავშვი მონაწილეობს, რომელთაც მთელი წელია საერთოდ აღარ ჰქონიათ შეტევა“.

ასეთი ინფორმაციების მოსმენისას, მეიგანს მარიხუანასთან დაკავშირებული უგუნური ფედერალური კანონების მიმართ უნდობლობა უმძაფრდება. ის შეიძლება, დააპატიმრონ შტატის საზღვარზე იმ ნარკოტიკის გადატანის გამო, რომელიც თაგვსაც ვერაფერს დააკლებს. „არაფრით არ შეიძლება შენი სა-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 184

კუთარი ქვეყნის მოქალაქეები ასე დატანჯო“.

მაგრამ ახლა პატრიკები კარგ ადგილას არიან — უფრო ბედნიერები, ვიდრე წლების განმავლობაში. „ჩვენ ადი დაგვიბრუნდა, — ამბობს მეიგანი, — ეს გზა თავად რომ არ გამევლო, ალბათ არც დავიჯერებდი. სულაც არ მგონია, რომ კანაფი უებარი წამალია. თუმცა ვფიქრობ, რომ ის მთელი ქვეყნის ყველა ნევროლოგის არსენალში აუცილებლად უნდა მოიპოვებოდეს“.

გენეტიკოსი... რუკის შედგენა

„ეს მცენარე რამდენადაც ღირებული, იმდენადვე საინტერესოა, — ამბობს ნოლან კეინი, ევოლუციური ბიოლოგიის სპეციალისტი, — მისი ისტორია მილიონობით წელს ითვლის და კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. მაგრამ ჯერ კიდევ ჩნდება უამრავი პასუხგაუცემელი, საკმაოდ საფუძვლიანი შეკითხვა: საიდან მოვიდა? როგორ და რატომ განვითარდა? რატომ შეიცავს ასეთ კომპონენტებს? ჯერ ისიც კი არ დაგვიდგენია, რამდენი სახეობა არსებობს“.

კოლორადოს ბოულდერის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ლაბორატორიის სათბურში ვართ და ათ ძირ კანაფს შევცქერით. კეინმა ისინი სულ ცოტა ხნის წინ სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის შეიძინა. ეს უშნოდ აწოწილი მცენარეები მოუხეშავ მოზარდებს გვანან და სრულიად განსხვავდებიან იმ დახვეწილი იერის მცენარეებისგან, ჰეიგმა რომ მაჩვენა. ესენიც, კანაფის თითქმის ყველა ჯიშის მსგავსად, ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავენ THC-ს.

იქნებ არც ისე საშიშად გამოიყურებიან? უბრალოდ, აქ, უნივერსიტეტის მთავარი ლაბორატორიის საზღვრებში, მათი არსებობაც კი, მრავალწლიანი ბრძოლისა და წვალების შედეგია. არ იყო იოლი ფედერალური უწყებებისა და უნივერსიტეტის თანხმობის მოპოვება. ამჟამად კეინს მხოლოდ კანაფის სხვადასხვა ფორმების მოყვანის უფლება აქვს. მისი კვლევის დანარჩენი მასალაა კანაფის დნმ, რომლითაც მას კოლორადოელი მწარმოებლები ამარაგებენ. დნმ-ს გამოყოფის მეთოდი მწარმოებლებს თვითონვე ასწავლა.

კეინი თითებით ეხება ამ უწყინარ მცენარეს და ცოტა უკვირს, რატომ იკრძალება აშშ-ში კანაფის კომერციული მოყვანა: „ის ხომ საუცხოო ხარისხის ბოჭკოს წარმოქმნის, ეს კულტურა დიდი რაოდენობით ბიომასას ქმნის, რაც ნიადაგს ამდიდრებს. ამასთან, არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას. ვინაიდან ფედერალური პოლიტიკის წყალობით, კანაფის კანონიერი გზით მოყვანა არ შეგვიძლია, ყოველწლიურად ტონობით მცენარე შემოგვაქვს ჩინეთიდან და კანადიდანაც კი. **არის ადგილები, სადაც ამერიკელ ფერმერებს, პირდაპირი გაგებით, შეუძლიათ გადახედონ კანადის საზღვრებს და დაინახონ სავარგულები, რომელთაც უზარმაზარი შემოსავალი მოაძვთ“.**

კეინი პროფესიით გენეტიკოსია. ის კანაფს უნიკალური კუთხით იკვლევს — მის დნმ-ს სწავლობს; კაბინეტურ სამუშაოს ვერაფრით ეგუება, საოცრად თავაზიანი ადამიანია ნათელი სახითა და ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერით. ადრე იკვლევდა შოკოლადს, მერე მრავალი წლის განმავლობაში — მზესუმზირას და საბოლოოდ მისი გენომიც გაშიფრა — 3,5 მილიარდზე მეტი ნუკლეოტიდის თანამიმდევრობა. ამჟამად, მარიხუანაზე მუშაობს. თუმცა, მისი გენომი ბევრად მოკლეა და დაახლოებით 800 მილიონ ნუკლეოტიდს მოიცავს. მიაჩნია, რომ საკვლევად ბევრად მიმზიდველი მცენარეა.

კანაფის გენომის ზედაპირული მონახაზი უკვე არსებობს, თუმცა ის ძლიერ ფრაგმენტირებულია და 60 000 ნაწილადაა გაფანტული. კეინის ამბიციურ მიზანს (რის მიღწევასაც მრავალი წელი დასჭირდება) წარმოადგენს ამ ფრაგმენტების სათანადო რიგში დალაგება. „წარმოიდგინეთ იატაკზე ძალიან საინტერესო წიგნის 60 000 ფურცელი რომ იყოს მიმოფანტული, ჩვენ კი წარმოდგენა არ გვაქვს, როგორ მოვარგოთ ეს ფურცლები ერთმანეთს, ბოლოს კარგი მოთხრობა რომ გამოგვივიდეს“. უამრავ ადამიანს აინტერესებს, როგორი გამოვა კეინის მოთხრობა. „ვგრძნობ, ამ კვლევებს მნიშვნელოვანი შედეგები ექნება. უბრალოდ, ხალხს უნდა რომ ასე მოხდეს. მაგრამ გარკვეული ზეწოლა არსებობს. რასაც ამ ლაბორატორიაში ვაკეთებთ, საკმაოდ დიდი კონტროლის ქვეშაა“.

სტრუქტურის შესწავლის დასრულების შემდეგ, კომერციულ გენეტიკოსებს მისი გამოყენება უამრავი გზით შეუძლიათ. მაგალითად, მცენარის ისეთი ფორმების გამოყვანა, რომელთაც სამკურნალო კომპონენტების ბევრად მაღალი შემცველობა ექნებათ. „ეს მუსიკალურ ნაწარმოებში ღრმად დამალული მოტივის აღმოჩენას ჰგავს, — ამბობს კეინი, — გარემიქსებით შეგიძლიათ გამოკვეთოთ ეს მოტივი, ხმას აუწევთ და მას სიმღერის მთავარ თემად აქცევთ“.

კეინი თავის ლაბორატორიაში დამატარებს. აშკარად ვატყობ ისიც და მისი ახალგაზრდა თანამშრომლებიც აჟიტირებულები არიან. მათი ემოციები ჩემთვის სრულიად გასაგებია, რადგან: „ზოგადად, მეცნიერება ნელა მიიწევს წინ, მაგრამ მარიხუანასთან მუშაობა ფუნდამენტურ ცვლილებებს გამოიწვევს. ეს ცვლილებები შეეხება არა მხოლოდ ჩვენს წარმოდგენას მარიხუანაზე,

არამედ პირადად ჩვენც — ჩვენს ტვინს, ჩვენს ნევროლოგიასა და ფსიქოლოგიას. ტრანსფორმაცია მოიცავს მისი შემადგენელი კომპონენტების ბიოქიმიასაც, მის გავლენას მრეწველობის სხვადასხვა დარგებზე, მათ შორის მედიცინაზე, სოფლის მეურნეობასა და ბიოსაწვავზე. მან, შესაძლოა, ჩვენი კვების რაციონიც კი შეცვალოს — კანაფის თესლი ცნობილია როგორც მეტად ჯანსაღი და ცილით მდიდარი ზეთის წყარო“.

კეინის თქმით, „მარიხუანა უზარმაზარი სიმდიდრის მატარებელია“.

მარიხუანის დრო

2013 წელს მარიხუანას 20 მილიონზე მეტი ამერიკელი მოიხმარდა. შენახვა-გაყიდვა ფედერალური კანონით აკრძალულია, თუმცა მისი სამედიცინო მიზნით გამოყენება დაშვებულია 23 შტატში და კოლუმბიის ოლქში. მრავალ შტატში საჯარიმო სანქციები გართობის მიზნით მოხმარებაზეც შეამცირეს ან გააუქმეს.

სამკურნალო დანიშნულება

კანაფით მკურნალობდნენ ძველ ჩინეთში, ინდოეთსა და საბერძნეთში. მარიხუანის სამკურნალო პოტენციალის შემსწავლელ მეცნიერებს ხელს უშლის ფედერალური კანონი. სურსათისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველოს (FDA) მიერ მხოლოდ ორი სინთეზური პრეპარატია ნებადართული; ნატურალური ნაწარმი განხილვაშია.

გლაუკომა

მეცნიერები მუშაობენ პრეპარატზე, რომელიც მარიხუანის ანალოგიურად თვალის წნევას ამცირებს, ოღონდ მცენარისთვის დამახასიათებელი გვერდითი ეფექტების გარეშე.

გაფანტული სკლეროზი

ექსტრაქტი, რომელიც პაციენტებში ტკივილსა და კუნთების სპაზმს ხსნის, ევროპასა და კანადაში დაუშვეს, თუმცა არა აშშ-ში.

შიდსი

მარიხუანაში აღმოჩენილი ნივთიერება, FDA-ის მიერ ერთ-ერთი ნებადართული სინთეზური ვარიანტი, შიდსით დაავადებულებში მადისა და წონის მომატებას უწყობს ხელს.

კიბო

მეორე სინთეზური პრეპარატი ქიმიოთერაპიით გამოწვეული გულისრევის სამკურნალოდ გამოიყენება.

გართობის მიზნით

მარიხუანას შემადგენელი ძირითადი ფსიქოტროპული ნივთიერება — THC ტვინზე ზემოქმედებს და შეიძლება ფერების, ხმებისა და შეხების შეგრძნება გააძლიეროს, დრო შეანელოს. გართობის მოყვარული მომხმარებლები სწორედ ამას ეძებენ. თუმცა, კანაფი ასევე ამწვავებს დეპრესიასა და შფოთიანობას.

ტვინი

მარიხუანაზე ტვინის მრავალი უბნის რეცეპტორები რეაგირებენ. ზოგი აღვიძებს მადას, ზოგიც ეიფორიას იწვევს.

სუნთქვის სისტემა

ეფექტი შესუნთქვიდან წამებში იგრძნობა, პიკს 30 წუთში აღწევს. ღრმად შესუნთქული გაუფილტრავი კანაფიდან სიგარეტზე მეტი ნახშირჟანგი და კუპრი მიიღება.

გული

ზოგჯერ გულისცემა შესაძლოა გორმაგდეს და პანიკური შეტევები გამოიწვიოს. კვლევები უჩვენებს, რომ გამოყენებიდან მცირე ხანში გულის შეტევის რისკი, შესაძლოა, საკმაოდ გაიზარდოს.

საჭმლის მომნელებელი სისტემა

თუ კანაფს შეჭამთ, იგი უფრო ნელა, თუმცა ხანგრძლივად მოქმედებს ორგანიზმზე, რაც ართულებს დოზის რეგულირებას.

სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება აშშ-ში

ზოგიერთ შტატში მარიხუანაზე კონტროლის შესუსტებას იმით ხსნიან, რომ ამ მცენარეში შემავალი ერთ-ერთ კომპონენტს — კანაბიდიოლის (CBD) ზეთს ბევრი სამკურნალო თვისება აქვს და არ იწვევს კაიფს.

ქმნის მომგებიან ახალ ბაზარს

მარიხუანის უკანონო მოხმარება მცირეა სხვა ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან შედარებით. ლეგალურ მარიხუანაზე მოთხოვნის ზრდის გამო, ბიზნესმენები ამ ახალ ბაზარს აკვირდებიან.

https://www.nationalgeographic.com/magazine/2015/06/marijuana-science-drug-research-legality

NATIONALGEOGRAPHIC

უსაფრთხოების დაცვა ახალი ვიდეოკამერებით

საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის მიზნით დედაქალაქის მასშტაბით კიდევ 20 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა სრული დატვირთვით ამოქმედდა. დღეის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით 550 ვიდეოკამერა ფუნქციონირებს, მათ შორის, 306 ნომრის ამომცნობი და 244 ზოგადი ხედვის კამერა.

საგზაო უსაფრთხოების დაცვის მიზნით ქ. ხაშურისა და ქ. ბორჯომის საავტომობილო გზის მონაკვეთის ორ ლოკაციაზე, ორმხრივი მიმართულებით, საავტომობილო სიჩქარის კონტროლის 2 სექცია ამოქმედდა.

3 სიჩქარის მზომი წერტილოვანი რადარი ამოქმედდა კახეთის რეგიონში. კერძოდ, ქ.თელავში, სოფელი ვარდისუბნისა და სოფელი ნასამხარალის საავტომობილო გზის მონაკვეთზე.

სრული დატვირთვით სიჩქარის მზომი 23 წერტილოვანი რადარი ფუნქციონირებს. საქართველოს მასშტაბით კი ჯამში 253 კმ. სიგრძის საავტომობილო გზა კონტროლდება სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, ვიდეოჯარიმების შესახებ მოქალაქეთა დროულად ინფორმირების მიზნით, მომხმარებელთა სატელეფონო მონაცემების ბაზაში მობილური ტელეფონის ნომრის განახლების პროცესი გაამარტივა. მოქალაქეს, პერსონალური მონაცემების მაქსიმალური დაცვით, მონაცემთა ბაზაში საკუთარი მობილური ტელეფონის ნომრის დისტანციურად შეცვლის შესაძლებლობა აქვს. სატელეფონო ნომრის შესაცვლელად, ავტომანქანის მფლობელები უნდა დაუკავშირდნენ მომსახურების სააგენტოს ცხელ ხაზზე — 2 41 91 91. შემდეგ, პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით, ოპერატორს უნდა უკარნახონ სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, თავიანთ მფლობელობაში არსებული ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი, ტექმოწმობის ან შასის/vin კოდის ბოლო 4 ციფრი და განაახლონ მობილური ტელეფონის ნომერი. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომხმარებელთა სატელეფონო მონაცემების ბაზაში დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ვიდეოჯარიმის გამოწერის შესახებ.

ჯარიმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, მოქალაქე სარგებლობს 20% -იანი შეღავათით. იმ შემთხვევაში, თუ პირი ვიდეოჯარიმას მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მას ფოსტის მეშვეობით ეგზავნება, ხოლო ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60 დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება.

საგზაო უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელება წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს.

შეტყობინება მომსახურების შესყიდვის შესახებ მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

(საიდენტიფიკაციო კოდი: GTC/CS/ICS-02)

საკონსულტაციო მომსახურება
გარე მონიტორინგის კონსულტანტი

დაფინანსების წყარო:
საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი
FI N °86.379
Serapis N° 2016-0404
დამკვეთი ორგანო: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ინფორმაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა. დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების მართვა და ადმინისტრირება.

პროექტის აღწერილობა

ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა საქართველოს მთავრობა საერთაშორისო და ეროვნული გზების მშენებლობის და რეაბილიტაციისთვის. საავტომობილო გზების დეპარტამენტს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ამ პროექტების განხორციელებაზე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს რომ დაიქირავოს გარე მონიტორინგის კონსულტანტი ევროპის საინვესტიციო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს რომ განხორციელდეს გარე მონიტორინგი განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების (RAP) პარალელურად რაც დასრულდება განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებითა და შესაბამისობის ანგარიშის მომზადებით. შესაბამისობის მისაღები ანგარიში წარმოადგენს სამუშაოების დაწყების პირობას.

მოცემული ფაზის განმავლობაში კონსულტანტი განახორციელებს (1) წინასწარ კვლევას მეორე ფაზის აქტივობებისათვის საჭირო ინდიკატორებს დასადგენად და (2) მონიტორინგს გაუწევს განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელებას. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ დავალებებს: (ა) განსახლების სამოქმედო გეგმის/საინფორმაციო ბროშურის გასაჯაროვების განხილვა; (ბ) განმახორციელებლის აქტივობების განხილვა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კომპენსირების თაობაზე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულის შესაბამისობას განსახლების გეგმით გათვალისწინებულ პროცედურებთან; (გ) კომპენსაციების ოდენობების განხილვა; (დ) გაფორმებული ხელშეკრულებების და განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით გადამოწმება იმისა, განხორციელდა თუ არა კომპენსაციების გადახდა ზემოქმედების არეალში მოქცეული ყველა პირისათვის; (ე) შეფასდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების ხარისხი საინფორმაციო კამპანიისა წარმართვისა და მათთვის შეთავაზებული კომპენსირების/რეაბილიტაციის პაკეტებთან მიმართებაში; (ვ) ლეგალიზაციის პროცესის განხილვა და მისი ეფექტიანობის შეფასება; (ზ) საჩივრების შემოხვევების განხილვა; (თ) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების კვლევა აღნიშნული პირების 20%-ის შერჩევით.

ტექნიკური დავალების გადმოწერა შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ლინკიდან:
https://www.dropbox.com/s/ur8nv1fx1r96u6d/ToR-External%20Minitoring%20Consultant.docx?dl=0

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობა არის 12 თვე. ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო 12 თვის ვადით. აღნიშნული დამოკიდებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესზე.

გარე მონიტორინგის კონსულტანატის მოვალეობები:

(1) კომპენსირების პროცესის ჩატარების შეფასება განსახლების პროცედურებით განსაზღვრულ პირობებთან მიმართებაში;
(2) დადასტურება, იმისა რომ ზემოქმედების არეალში მოქცეულმა ყველა პირმა მიიღო ჩარჩოდოკუმენტსა და განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაცია;
(3) საჩივრების შემოხვევების და მათი გადაჭრის გზების განხილვა;
(4) სარეაბილიტაციო პროგრამის შეფასება ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოწყვლადი პირებისათვის;
(5) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების ხარისხის შეფასება;
(6) მიღებული მიგნებების წარმოჩენა ისე რომ, აღნიშნული გამოცდილება გამოყენებული იყოს შემდეგ პროექტებში, და;
(7) განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება და რეკომენდაციები ევროპის საინვესტიციო ბანკს სამშენებლო სამუშაოების დაწყების ნებართვის გაცემის უზრუნველყოფის მიზნით.

სავარაუდო ბიუჯეტი გადასახადების გარეშე, ხელფასისა და ანაზღაურებადი ხარჯების ჩათვლით: 70,000 ლარი (სამოცდაათი ათასი ლარი)

შერჩევის პროცესში გამოყენებული იქნება ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო- GUIDE TO PROCUREMENT for projects financed by the EIB Updated version of June 2011:
http://www.eib.org/attachments/strategies/procurement_en.pdf

შერჩევაში მონაწილეობის მიღების უფლება განისაზღვრება ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოსა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება. კანდიდატების CV- ები უნდა მოიცავდეს პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებულ გამოცდილებას.

დავალების მოსალოდნელი დაწების თარიღია 2018 წლის ოქტომბერი.

<u>**შერჩევის პროცესი:**</u>

შერჩევა წარიმართება ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასების საფუძველზე. ტექნიკურ წინადადებას ექნება მთლიანი ქულის 80%-ის წონა, ხოლო ფიანნსურს - 20%-ის წონა. გამარჯვებულად გამოცხადდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს უმაღლეს კომბინირებულ ქულას. დეტალები მოცემულია ინგლისური განაცხადის ტექსტში.

კონსულტანტის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები - უნდა დაკმაყოფილდეს პრეტენდენტის მიერ CV-ში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე:

<u>**საავალდებულო მოთხოვნები:**</u>

- ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) გარემოსდაცვით და სოციალურ უსაფრთხოების პოლიტიკის და მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის (OP 4.12) მოთხოვნების მიმართებაში მუშაობის გამოცდილება;
- სამუშაო გამოცდილება საქართველოში მიწის ადმინისტრირება/მართვის კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით;
- ინგლისური და ქართული ენების ძალიან კარგად ცოდნა;

<u>**ზოგადი გამოცდილება:**</u>

- მინიმუმ 8 წლიანი ზოგადი გამოცდილება;

<u>**ანალოგიური გამოცდილება:**</u>

- მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განსახლების სამოქმედო გეგმების/მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით, მათ შორის გზების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის A კატეგორიის პროექტებისათვის, რომლებიც მომზადებულია WB ან/და WB/EIB-ის არანებაყოფლობითი განსახლებისათვის სტანდარტების მიხედვით;
- სამშენებლო პროექტებისთვის განსახლების გარე მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით გამოცდილება;
- მოლაპარაკებების გამართვის და კონსულტაციის გაწევის გამოცდილება, განსაკუთრებით ფართო საზოგადოებასთან.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ.ფოსტაზე: info@georoad.ge

თავფურცლისა, CV-ს, ტექნიკური წინადადების და ფინანსური წინადადების (რომელიც უნდა იყოს მოთავსებული ცალკე კონვერტში) წარდგენა უნდა მოხდეს ინგლისურ ენაზე დამკვეთ ორგანოსთან არა უგვიანეს 2018 წლის 5 ოქტომბრისა, 15:00 საათზე ადგილობრივი დროით:

• ჩააბარეთ დამკვეთ ორგანოს (საფოსტო მომსახურების ჩათვლით) მისამართზე:
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ბატონი ლევან კუპატაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე
საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №12

საქმე №1/26-2018

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 18 სექტემბერი 2018 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **სს „სმარტ კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **თომა სარაჯიშვილი**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს მიერ 2018 წლის 21 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული სს „სმარტ კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე თომა სარაჯიშვილის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:
2012 წლის 15 ნოემბერს შპს „სმარტ კრედიტსა" და თომა სარაჯიშვილს შორის დაიდო №111210372 სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 1450 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 15 თებერვალი. ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული გრაფიკით შემოსატანი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა მოპასუხე თომა სარაჯიშვილის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თომა სარაჯიშვილს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა, მოპასუხე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე ვერ მოიძებნა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თომა სარაჯიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თომა სარაჯიშვილი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე ვერ მოიძებნა, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწო-

SERVICE PROCUREMENT NOTICE
Request for Expression of Interest

(Reference Code GTC/CS/ICS-02)

CONSULTANCY SERVICES FOR
EXTERNAL MONITORING CONSULTANT

Source of Financing:
Georgia Transport Connectivity (GTC) Project
FI N °86.379
Serapis N° 2016-0404
Contracting Authority: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RD)

Background on the Roads Department

The Roads Department is the subordinated agency of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (MRDI) and is responsible for the management and administration of the International and Secondary Road infrastructure under the responsibility of MRDI.

Background on the Project

The EIB has provided funding to the Georgian Government for the new construction and rehabilitation of international and national roads on the Georgian road network. The RD has an overall responsibility for implementation of these Projects.

The RD intends to hire an individual as an External Monitoring Consultant (the EMC)in order to be in line with the EIB policy, which requires that external monitoring be carried out in parallel with the implementation of a Resettlement Action Plan (RAP) and will be concluded after the RAP is implemented by the preparation of a compliance report. An acceptable Compliance Report will be condition to start the implementation of physical civil works for the project.

The EMC will (i) do the investigations and define the indicators needed for phase two activities and ii) closely monitor the implementation of the RAPs. RAP implementation monitoring will entail the following tasks: (a) review of RAP/Information pamphlet disclosure; (b) review of action taken by the RD to compensate the Affected Persons (APs) with particular attention to the way this action fits RAPs stipulations; (c) review all compensation tallies; (d) verify whether the compensation is provided thoroughly to all APs and in the amounts defined in the RAP and in the AP contracts; (e) asses the satisfaction of the APs with the information campaign and with the compensation/rehabilitation package offered to them; (f) review the legalization process and assess its effectiveness; (g) review complaints & grievances case; (h) carry out an AP satisfaction survey with a 20% sample of the APs. The EMC will prepare the Compliance Reports As per the schedule given in this terms of reference (ToR).

The ToR can be downloaded from the link below:

https://www.dropbox.com/s/ur8nv1fx1r96u6d/ToR-External%20Minitoring%20Consultant.docx?dl=0

The estimated duration of the assignment will be 12 months with a possibility of further 12 months extension subject to the progress of RAPs implementation by the RD.

The duties and responsibilities of the Consultant shall include, inter alia, the following:

(i) Assessment of the way the compensation has been carried out in relation to Resettlement Procedures (RP) stipulations;
(ii) Verification that all APs were compensated in the amounts stipulated in the RP;
(iii) Review of complaint and grievance cases and of their solution;
(iv) Assessment of the rehabilitation program for vulnerable Aps;
(v) Assessment of the satisfaction of the Aps;
(vi) Lesson learned to be applied to the next projects, and;
(vii) General assessment of RP implementation and recommendations to EIB regarding the provision of No Objection Letter to start the civil works.

NET Estimated Budget, including remuneration and reimbursable: GEL 70,000.00 (Seventy Thousand Georgian Lari)

Applicable guidelines are GUIDE TO PROCUREMENT for projects financed by the EIB Updated version of June 2011:
http://www.eib.org/attachments/strategies/procurement_en.pdf

Eligibility as per the EIB's Guide to Procurement and relevant local legislation shall be applicable.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience relevant to the project activities.

The Assignment is expected to be commenced in October 2018.

Selection Process:

Individual Consultant will be selected taking into account the experience, qualifications and capability to handle the assignments (technical proposal) as well as the cost of the services (financial proposal). The technical and financial proposals shall be submitted at the same time. To safeguard the integrity of the process, the technical and financial proposals shall be submitted in separate sealed envelopes. A committee of officials drawn by the Contracting Authority shall open all technical proposals received by the deadline for submission of proposals. The committee shall read aloud the names of the experts that submitted proposals. The financial proposals shall remain sealed and signed at the specially designated safe place until the technical evaluation is completed and relevant technical scores are assigned to the participants.

The technical evaluation shall take into account the criteria indicated below:

Candidates shall submit a Cover Letter together with the CV for the assessment of the Contracting Authority on the basis of mandatory requirements (yes/no criteria), general experience (20%) and relevant specific experience (80%) as stated below.

After the technical evaluation is completed, the Contracting Authority shall notify those Consultants whose Proposals did not meet the minimum qualifying technical score of 70% and shall provide information relating to the Consultant's overall technical score, that their Financial Proposals will be returned unopened after completing the selection process and Contract signing. The Client shall simultaneously notify in writing those Consultants that have achieved the minimum overall technical score of 70% and inform them of the date, time and location for the opening of the Financial Proposals. The opening date should allow the Consultants sufficient time to make arrangements for attending the opening. The Consultant's attendance at the opening of the Financial Proposals is optional and is at the Consultant's choice.

The Financial Proposals shall be opened by the Contracting Authority in the presence of those Consultants whose technical proposals have passed the minimum technical score of 70% and who chose to attend the opening of Financial Proposals. At the opening, the names of the Consultants and the overall technical scores shall be read aloud. The Financial Proposals will then be inspected to confirm that they have remained sealed and unopened. These Financial Proposals shall be then opened and the total prices read aloud and recorded. Copies of the record shall be sent to all Consultants who submitted Proposals. Consultants are deemed to have included all prices in the Financial Proposal, so neither arithmetical corrections nor price adjustments shall be made. The total price, net of taxes shall be considered as the offered price.

The total score shall be calculated by weighting the technical (80%) and financial (20%) scores and adding them as per the formula given below:

The lowest evaluated Financial Proposal (Fm) is given the maximum financial score (Sf) of 100.

The formula for determining the financial scores (Sf) of all other Proposals is calculated as following:

Sf = 100 x Fm/ F, in which "Sf" is the financial score, "Fm" is the lowest price, and "F" the price of the proposal under consideration.

The weights given to the Technical (T) and Financial (P) Proposals are:
T = 0.8, and
P = 0.2

Proposals are ranked according to their combined technical (St) and financial (Sf) scores using the weights (T = the weight given to the Technical Proposal; P = the weight given to the Financial Proposal; T + P = 1) as following: S = St x T% + Sf x P%.

The Consultant achieving the highest combined technical and financial score will be invited for contract negotiations.

Qualification Criteria of the Consultant – to be complied with under the information provided in CV as a part of technical proposal:

Mandatory requirements:

- An advanced degree in Sociology, Political Science, Law, Geography, Urban Planning, Engineering, Land Management or similar;
- Working knowledge of the EIB's Environmental and Social Safeguard Policies and the World Bank Involuntary Resettlement Policy (OP 4.12);
- Working knowledge of the Georgian land administration/management laws, regulations, and standards.
- Strong command of English and Georgian languages;

General Experience:
- Minimum 8 years of overall general experience;

Specific Experience:
- A minimum of 5 years of experience in developing and implementing RAPs/LARPs on infrastructure projects, including road projects classified as Category A for Involuntary Resettlement as defined by WB and/or WB/EIB;
- Prior experience in conducting external resettlement monitoring for development projects;
- Knowledge of participatory methods and consultation practices, with direct experience in working with the general public.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover Letter, CVs (technical proposal) and financial proposal (in a separate sealed envelope) of candidates must be submitted in English exclusively to the Contracting Authority not later than **October 05, 2018, 15:00 hours local time:**

hand delivered (including courier services) to:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Attn: Mr. Levan Kupatashvili, Deputy Chairman
Address: 12 Kazbegi ave., 0160, Tbilisi, Georgia

რია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თომა სარაჯიშვილს (პირადი №01017023056) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს წარმოებაშია სს „სმარტ კრედიტი"-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

2. თომა სარაჯიშვილს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს

„მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11(ყოფ. ბორჯომის). ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე თომა სარაჯიშვილს ეცნობოს, რომ 2018 წლის 10 ოქტომბერს 12:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11(ყოფ. ბორჯომის), დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა სს „სმარტ კრედიტი"-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით თომა სარაჯიშვილის მიმართ.

5. თომა სარაჯიშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ძმითვან ტაბატაძე

◎ სუმო

ჰაკუჰოს ვერ გაუმკლავდა

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილი ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე მონღოლ იოკოძუნა ჰაკუჰოს კარიერაში 27-ედ გაეჯიბრა და 26-ე მარცხი განიცადა.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ მიმდინარე სექტემბრის სუპერტურნირზე დასავლეთის მე-2 ოძეკმა ტოჩინოშინმა იოკოძუნა კაკურიუს ეფექტურად სძლია, გუშინ კი კიდევ ერთ დიდ ჩემპიონს ვეღარ გაუმკლავდა.

„თეთრმა ფენიქსმა“ ჩვენებური დამაჯერებლად, სუკუინაგეთი დაამარცხა და ერთადერთ სუმოისტად რჩება, რომელსაც აკი ბაშოზე მაქსიმალური შედეგი (12 მოგება) აქვს.

ტოჩინოშინს 7 მოგების წილ 5 მარცხი მოუგროვდა და ოძეკის წოდების შესანარჩუნებლად დარჩენილი 3 შერკინებიდან ერთის მოგებაც ეყოფა. შეგახსენებთ, რომ თუკი ქართველმა სეკიტორმა მინიმალური დადებითი ბალანსი (კაჩი-კოში) მაინც დააფიქსირა, ის კადობანს თავს დააღწევს.

საშემოდგომო სუპერტურნირის მე-13 დღეს ჩვენებური ძალებს აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა შოდაისთან მოსინჯავს, რომელთანაც თანაბარი ბალანსი (5 მოგება, 5 მარცხი) აქვს, გასულ ივლისის ბაშოზე კი იაპონელს გამარჯვება უბრძოლველად მიენიჭა.

როგორც აღვნიშნეთ, „იმპერატორის თასის“ მოპოვების საუკეთესო შანსი ჰაკუჰოს აქვს, მას კი კვალში იოკოძუნა კაკურიუ და ოძეკები გოეიდო და ტაკაიასუ უდგანან, რომელთა აქტივშიც 10-10 მოგებაა.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში ისევ თანაბარ მაჩვენებლებზე (6 გამარჯვება, 6 წაგება) გავიდა თეიმურაზ ჯუღელი, იგივე გაგამარუ.

შეგახსენებთ, რომ ქართველ გოლიათს, რომელიც აღმოსავლეთის მე-12 ნომრის წოდებით ირჯება, ჯურიოში ადგილის შესანარჩუნებლად კაჩიკოში სჭირდება.

გუშინ თეიმურაზი დასავლეთის მე-5 რეიტინგოსან ტაკაგენჯის გაეჯიბრა და იორიკირით წააგო. დღეს გაგამარუს პირისპირ აღმოსავლეთის მე-5 ნომერი კოეტოეკო დადგება, რომელსაც ჩვენებური ურთიერთშეხვედრებში 3:2-ს უგებს.

კობა კობახიძე

◎ თაობა

„ვერცხლი“ მსოფლიოზე

ძართველი მოჭიდავე ნიკოლოზ ჭიკაიძე (72 კგ.) სლოვაკეთის ქალაქ ტრნავაში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი გახდა.

ჭიკაიძე, რომელიც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონი გახლავთ, ფინალში ირანელ ამინ იავარ კავიანინეჯადთან 2:12 დამარცხდა, მანამდე კი ესტონელი ანდრის პენტი (9:0), უკრაინელი იგორ ბიჩკოვი (9:0), თურქი ერკან ერგენი (3:1) და იაპონელი მინტო მაედა (5:2) დაჯაბნა.

ბრინჯაოს მედლის აღების შანსი ჰქონდა აივენგო რიკაძეს (82 კგ), თუმცა, უნგრელ ტაკაჩთან 5:6 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ რიკაძემ ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ რუს ალექსანდრ კომაროვთან 1:4 წააგო, ხოლო მანამდე გზიდან სომეხი ერიკ ელოიანი (11:0), ყირგიზი ილგიზ ბილიმოვი (9:0) და ბელარუსი კირილ მასკევიჩი (9:1) ჩამოიცილა.

ბეჟან დოლიძე



◎ ლეგიონერი

ბურჯანაძე 8 ქულით დაბრუნდა

სასიხარულო ამბავი — საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელმა ბექა ბურჯანაძემ მძიმე ტრავმა მოიშუშა და პირველი მატჩი ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ 24 წლის ფორვარდს იძულებით დაახლოებით წელიწადნახევარი გაუცდა და ამ პერიოდში „მორაბანკ ანდორადან“ ესპანურსავე „გიპუზკოა ბასკეტში“ გადაბარგდა.

ბურჯანაძე ახალი გუნდის განაცხადში პირველად 12 სექტემბრის მატჩში შეიყვანეს, თუმცა, მაშინ მოედანზე გასვლის საშუალება არ მისცემია. იმ შეხვედრაში „გიპუზკოა ბასკეტმა“ მადრიდულ „ფუენლაბრადასთან“ 60:69 წააგო.

აი, „სარაგოსასთან“ მოგებულ (91:87) მატჩში კი ბექა პირდაპირ სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 8 ქულის ჩაგდებაც მოახერხა.

„გიპუზკოა ბასკეტს“ მომდევნო საკონტროლო შეხვედრა „სან პაბლო ბურგოსთან“ ელის და იმედია, რომ ქართველი ლეგიონერი კიდევ უფრო მეტად დაიტვირთება.

ცხადია, ბურჯანაძის გამოჯანმრთელება კარგი ამბავია საქართველოს ნაკრებისთვისაც, რომელსაც მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კიდევ 4 მატჩი აქვს ჩასატარებელი.

თავად ბექა მოედანზე ნანატრ დაბრუნებას ასე გამოეხმაურა: „ჩემთვის დიდებული დღე იყო. თითქმის წელიწადნახევრის მერე მოედანზე პირველად გავედი და საკონტროლო მატჩში მივიღე მონაწილეობა. მინდა, ყველა იმ ადამიანს, რომელიც რთულ პერიოდში გვერდით მედგა, დიდი მადლობა გადავუხადო. მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა ეს დღე დამდგარიყო“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

რათა, კაცო, რათა...

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის სტარტზე ლეო მესიმ გაიბრწყინა, ყველას აინტერესებდა, როგორ ჩაივლიდა მისი მარადიული აჩრდილის, ტურინის „იუვენტუსის“ ახალწვეულის კრიშტიანუ რონალდუს ევროპული საბრძოლო ნათლობა.

როგორც ვიცით, იტალიის სერია — „ა“-ს რამდენიმე სადებიუტო შეხვედრაში მშრალი სერია პორტუგალიელმა „სასუოლოსთან“ შესრულებული „დუბლით“ შეწყვიტა, მის გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, რომ ახალ კლუბთან ადაპტაცია წარმატებით გაგრძელდებოდა, მაგრამ...

„მესტალიაზე“ „ვალენსიასთან“ გამართული ბრძოლის 30-ე წუთზე მსაჯმა არც აცია, არც აცხელა და „ბებერი ქალბატონის“ დებიუტანტი მინდვრიდან გააძევა. წითელი ბარათი ვის არ მიუღია, მაგრამ მიზეზს ხომ გააჩნია. ამჯერად მონასტერი მას შემდეგ აირია, რაც ერთერთ უწყინარ ეპიზოდში მან მასპინძელთა მოთამაშეს თავზე ხელი გადაუსვა. დაგვეთანხმებით, შარო საიდან მოდიხარო, ამაზე იტყვიან.

კიდევ კარგი, რომ აღნიშნულ კაზუსს მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია და სტუმრებმა ესპანეთიდან დაგეგმილი ქულები წაიღეს — 2:0 (ბურთები პენალტებით პიანიჩმა გაიტანა).

პირველი ტურის მთავარ სენსაციად შეიძლება მოინათლოს „სიტის“ საშინაო მარცხი „ლიონთან“ — 1:2, ხოლო დანარჩენი შედეგები ასეთია: „იანგ ბოიზი“ — „მანჩესტერი“ 0:3, „შახტარი “ — „ჰოფენჰაიმი“ 2:2, „რეალი“ — „რომა“ 3:0, „ბენფიკა“ — „ბაიერნი“ 0:2, „პლზენი“ — ცსკა 2:2, „აიაქსი“ — აეკი 3:0.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„ლოკომოტივი“ იტალიელთა წინააღმდეგ

საძართველოს ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“ ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის მესამე დონის ტურნირში — კონტინენტის ფარზე ითამაშებს და ჯგუფურ ეტაპზე ორ იტალიურ გუნდთან ოთხ თამაშს ჩაატარებს.

კონტინენტის ფარის გვერდი

შარშანდლისგან განსხვავებით, წელს კონტინენტის ფარზე 8-ის ნაცვლად 6 კლუბი ითამაშებს. ისინი ორ სამგუნდა ჯგუფში განაწილდნენ და თითოეულს თანაჯგუფელებთან შინ და გარეთ ორ-ორი თამაშის გამართვა მოუწევს. ჯგუფის გამარჯვებულები ერთმანეთს 2-მატჩა ფინალში, ასევე შინ და გარეთ შეხვდებიან, მოგებული კი 2019/2020 წლების „ჩელენჯ ქაფის“ საგზურს მიიღებს.

მეორე საგზურს ასევე ორმატჩიან დუელში რუსეთის „ენისეი“ და რუმინეთის „ტიმიშოარა-სარასენსი“ გაითამაშებენ, რომლებმაც წლევანდელი „ჩელენჯ ქაფის“ საგზური 2017/2018 წლების კონტინენტის ფარზე წარმატებული თამაშით მოიპოვეს.

წელს „კონტინენტის ფარზე“ ოთხი იტალიური კლუბი — თბილისის „ლოკომოტივი“ და ბელგიის რაგბის კავშირის ფრანჩიზა — ბელგიელი ბარბაროსები XV ითამაშებენ. საქართველოს ჩემპიონი „ა“ ჯგუფში „კალვიზანოსა“ და „ფიამე ორო რომასთან“ მოხვდნენ, ხოლო „ბ“ ჯგუფში „პეტრარკა“, „როვიგო“ და ბელგიური კლუბების ნაკრები ითამაშებენ.

„ლოკომოტივი“ პირველ თამაშს 13 ოქტომბერს გამართავს და „ავჭალაზე“ „კალვიზანოს“ უმასპინძლებს; 8 დეკემბერს „ფიამე ოროს“ სტუმრად შეხვდება; 15 დეკემბერს თბილისელებს „კალვიზანოსთან“ განმეორებითი შეხვედრა ელით; 12 იანვარს რკინიგზელები „ავჭალაზე“ „ფიამე ოროს“ მიიღებენ. ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში, „ლოკომოტივი“ ფინალში „ბ“ ჯგუფის გამარჯვებულს 30 მარტს შინ მიიღებს, ხოლო 20 აპრილს სტუმრად შეხვდება.

„ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი ამბობს, რომ მიუხედავად სირთულეებისა, გუნდის მიზანი ფინალში გასვლა და „ჩელენჯ ქაფის“ საგზურის მოპოვებაა:

„ჩვენ ვუყურებთ სანაკრებო მატჩებს, საფრანგეთის ტოპ 14-ს და ინგლისის პრემიერშიპს, მაგრამ თითქმის არაფერი ვიცით სხვა სარაგბო ქვეყნების შესახებ. ისინი თავისი გზით ვითარდებიან და მნიშვნელოვანია, რომ მათ მხარი ავუბათ. სწორედ ამიტომ, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, გადავწყვიტეთ „კონტინენტის ფარზე“ გასვლა, მით უმეტეს, რომ ფორმატი შეიცვალა. ეს ძალიან „ძვირიც“ აღარ ჯდება.

„ჯგუფურ ეტაპზე ვეთამაშებით იტალიურ კლუბებს, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოძიებას ახლა ვიწყებთ. იტალიელებს პრო 14-ში ორი კლუბი ჰყავთ („ბენეტონი“ და „ძებრე“) და მთელი ქვეყანა მათზე მუშაობს. დანარჩენი კლუბები ისეთი ძლიერები არ არიან, რომ მათი დამარცხება ვერ მოვახერხოთ.

„იტალიური გუნდის თამაში ერთხელ თბილისში ვნახეთ (2013/2014 წლების სეზონში, „როვიგო“ კონტინენტის ფარზე თბილისის „კავკასიელებს“ შეხვდა), გასულ სეზონში „ბათუმმა“ ითამაშა ორ იტალიურ კლუბთან და ორივესთან შეიძლებოდა მოგება. ამავდროულად, ვიცით რას თამაშობენ რუსეთისა და რუმინეთის ჩემპიონები და ისინი იტალიურ კლუბებს უგებენ. გვჯერა, რომ მომავალი მეტოქეების დამარცხებით „ჩელენჯ ქაფზე“ გასვლა შეგვიძლია და ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ“.

მანუჩარ მაჩაიძე

◎ თითქმის ნატურიდან

ჯაფარი

შებინდებისას ჩემმა დამ ჭიშკარი გააღო და ძროხები შემოუშვა დასაბინავებლად. უკან მომავალ დეკეულს მთვრალი კაცივით ფეხები ერეოდა. შუა ეზოს რომ მოაღწია, წაბარბაცდა და წაიქცა. თინიკო წამოსაყენებლად მივარდა. დეკეულმა წამოდგომა სცადა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და ზურგზე გადაგორდა.

— დავიღუპე, რა მეშველება, - წამოიძახა ჩემმა დამ.

ჭროღა (ასე შეარქვეს ბავშვებმა) ძლივს წამოვაყენეთ, ბარბაცით მიატანა გომურამდე.

— რა სჭირს, გოგო? — ნაღვლიანი ხმით იკითხა ნატრულიმ, რომელიც ღობესმომდგარი უყურებდა ჩვენს საცოდაობას.

— რა ვიცი, ფეხზე ვერ დგება, — ამოიკვნესა თინიკომ.

ჭროღა ისევ წაიქცა, თავი გვერდზე გადააგდო და თვალები გადაატრიალა.

— ვაიმე, კვდება. — ჩემმა დამ ლამის სახე ჩამოიკაწრა.

ნატრულიმ გვერდითა მეზობელ რობიკოს გასძახა, თინიკოს დეკეული ცუდადაა და იქნებ გვიშველოო. დისშვილი ფატიმა ჩემს ბიძაშვილ ზურიას დასაძახებლად გაიქცა.

ოპერატიულად შეიკრიბა „კონსილიუმი“: რობიკო თერმომეტრით, ზურია უშველებელი დანით, რომლის დანახვაზე კინაღამ გული წამივიდა. ჭროღა კი ეგდო გვერდზე თავგადაგდებული, თვალებმიბნედილი და ფეხებს მთიულურის მოცეკვავესავით ხან მარცხნივ იქნევდა, ხან - მარჯვნივ.

— კვდება? — იკითხა იამზემ, რობიკოს მეუღლემ, რომელიც ის-ის იყო შემოგვიერთდა.

— დროზე დავკლათ, თორემ ხორცი გაუშავდება და არავინ ჩაიბარებს, — დაასკვნა ზურიამ და მიწაზე გაშხლართულს რომ მიუახლოვდა, ნატრულიმ შეაჩერა.

— მოიცა, ბიჭო, წყემში (მეზობელი სოფელია) ნათესავი მყავს ვეტექიმი და იმას დავურეკავ.

ნომერი აკრიფა.

— გისმენთ! — გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა.

ნატრულის მისალმებაც დაავიწყდა, ისე სულმოუთქმელად აუწყა საგანგებო ვითარება — დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი.

— რას გვირჩევ, დავკლათ? - — ჰკითხა ბოლოს.

-საძოვარზე სად უშვებთ? — ღობესთან ახლოს ვიდექი და მკაფიოდ მესმოდა ვეტექიმის სიტყვები.

— ყოფილი მეფრინველეობის ეზოში.

— სად, ნარამუში? — დაადასტურა ვეტექიმმა.

ამ სიტყვის გაგონებაზე ბავშვობისას ბებიას ნაამბობი გამახსენდა — ქარსაფართან (დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ მრავალწლიანი ხეები მიწასთან გაასწორა) უწინ „რამი“ (აქედანაა სიტყვა ნარამუ) - კანაფის მსგავსი ცისფერყვავილებიანი მცენარე ითესებოდა, რომლის თესლისგან ზეთს ხდიდნენ, ხოლო ბოჭკოსგან ქსოვილს ამზადებდნენო. ისიც მითხრა, სხვა რაღაც მცენარეც მოჰყავდათ, რომლის ფოთლებს კაცები თუთუნში ახვევდნენ და მერე მთელი დღე გამოლენჩებული დადიოდნენო.

ფიქრებიდან ვეტექიმის ხარხარმა გამომაფხიზლა.

— ძროხას ხელი არ ახლოთ, შეეშვით, — გაისმა ყურმილში სიცილნარევი ხმა.

— არ გვეტყვი, რა ხდება? — შეუტია ნატრულიმ.

— შენი მეზობლის ძროხა კაიფშია, კაიფში! — ისევ გადაიხარხარა. — მოწეულშია, გესმის? ეტყობა, ზედმეტი მოუვიდა... არ დააბათ. რაც შეიძლება, მეტი წყალი დაალევინეთ და თავად გამოვა მდგომარეობიდან.

ნატრულიმ ახლობლის ნათქვამი ხმამაღლა გამოგვიცხადა.

— ვითომ ეშველება რამე? — ცრემლიანი თვალებით შეაჩერდა თინიკო მეზობლებს. - ბავშვივით მყავს გაზრდილი და დასაკლავად არ მემეტება.

— ექიმი ამბობს, ხელი არ ახლოთო და ჩვენც ვაცალოთ. უარესობა თუ შეატყო, მე მზად ვარ, — თქვა ზურიამ. სხვებიც დაეთანხმნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

თინიკოს და ფატიმას თითქმის მთელი ღამე არ უძინიათ. უთენია ზურია და რობიკო დაგვადგნენ თავზე.

— როგორ არის? — იკითხა რობიკომ.

— მშვენივრად, წუხელ ბალახიც კარგად ჭამა და ქატოც, — უთხრა ჩემმა დამ.

— ჰო, ნარკოტიკი მადას გაუხსნიდა, — იხუმრა ზურიამ, მერე ფატიმას მიუბრუნდა. — ბიძი, ეს საქმე ასე მშრალად ვერ ჩაივლის. ჭროღას გადარჩენისა უნდა შევსვათ, ას-ასი გრამი დაგვალევინე.

— შინ მობრძანდით, — შეიპატიჟა თინიკომ.

— არა, ყანაში მიგვეჩქარება, სანამ კარგი ამინდია, — თავი შეიკავა რობიკომ.

ამასობაში ფატიმამ არაყი და ხილი გამოიტანა. ეს ჭროღას გაუმარჯოსო, თქვა ზურიამ და ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა. რობიკომ ცოტა მოსვა.

— ბიძი, მეორეც დაასხი, ცალი ფეხით კი არ მოვსულვარ, — ისევ ბობოქრობს ზურია.

— ქეიფს იწყებთ დილიდან?! — გადმოსძახა ბიჭებს კახამ, ნატრულის ვაჟმა, რომელიც ის იყო მანქანიდან გადმოვიდა.

— მოდი, მოდი, ჭროღას გადარჩენისა ერთი ჭიქა შენც შეგხვდება...

მეზობლები მალე დაიშალნენ.

იმ საღამოს საქონელი ჩემმა დისშვილმა შემოდენა.

— დედა, დედა... ნახე, დღეს ჩვენი ძროხა ფეხარეული დადის, — სიცილს ვერ იკავებს ფატიმა.

— ჩემთანაც მოდით, ჩემთანაც, — მხიარული ხმით გადმოგვძახა ნატრულიმ.

მართლაც, მისი თავჩაქინდრული ძროხა ფერდით რკინის ჭიშკარს მიყრდნობოდა, რომ არ წაქცეულიყო.

იმავე დღეს მეზობლებმა მოილაპარაკეს, ძროხები დაესაჯათ — რამდენიმე დღე საძოვარზე არ გაეშვათ.

მეორე საღამოს თბილისში გამომგზავრების წინ ჩემს დას ვუთხარი, ეს საქონელი მალე გაყიდე, თორემ, როგორც ნარკომომხმარებელი ძროხების პატრონი, შესაძლოა, დაგაჯარიმონ-მეთქი.

— ამდენი წელიწადია, ნარამუში დადიან საბალახოდ და მსგავსი არაფერი შემიმჩნევია... ტელევიზორს ესენი არ უყურებენ, გაზეთებს ესენი არ კითხულობენ და, ჩემი ცოდვით სავსემ, ვინ ჩაანწვეთა, ნარკოტიკების მოხმარება ნებადართულიაო, — ღიმილით დამემშვიდობა თინიკო.

ვაჟა დანელია

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება გამოჩენილი პოეტისა და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოსაგრის, ჩინებული მოქალაქის, ჩვენი გაზეთის დიდი მეგობრისა და ავტორის, ძვირფასი

ნოდარ ჯალაღონიას

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის უერთგულეს მეგობარ მეუღლეს ნანა შალიკიანს.

მიწისძვრა საქართველოში

საქართველოში მიწისძვრა მოხდა. ძლიერი ბიძგები იგრძნობოდა თბილისში.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი მცხეთიდან აღმოსავლეთით, სოფელ ქვიშიანში იყო, ხოლო სიმძლავრემ 3.2 მაგნიტუდა შეადგინა.

ხანძარი პლასტმასის ნედლეულის საწყობში

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, თბილისში, თემქის დასახლებაში მდებარე პლასტმასის ნედლეულის საწყობში ხანძარი გაჩნდა.

მათი ცნობით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

უწყების ინფორმაციით, დამწვარია 300 კვადრატული მეტრის ფართობი.

ხანძარი ლიკვიდირებულია. ადგილზე ოთხი სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა.

მამის ავტომანქანის დაზიანებისთვის მსჯავრდებულს სააპელაციო სასამართლომ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

„თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი და მამის კუთვნილი ავტომანქანის დაზიანებისთვის მსჯავრდებული ს.ტ.-ს მიმართ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული ჯარიმა თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 14 აპრილს, ახალქალაქის რაიონის სოფელ მოდეგაში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ს.ტ.-მ მამამისის ავტომანქანა ხის ძელის გამოყენებით დააზიანა.

ს.ტ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] ,187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის ნივთის დაზიანება) წარედგინა. ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 22 მაისის განაჩენით ს.ტ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმა - 3000 ლარის ოდენობით განუსაზღვრა, რაც ბრალდების მხარემ სასჯელის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ს.ტ.-ს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, - ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბათუმში ცხოველები პნევმონიით ავადდებიან

ბათუმის ცენტრალურ პარკში, ზოოკუთხე კარანტინის გამო მომდევნო სამი თვის განმავლობაშიც არ გაიხსნება. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ზოოკუთხეში ცხოველების მკვდრადშობადობის ფაქტები დაფიქსირდა, რომლის მიზეზი სავარაუდოდ, პნევმონია და ვირუსული ინფექციებია.

კარანტინი მას შემდეგ გამოცხადდა, რაც აჭარის მაუწყებელმა ზოოკუთხეში 50-ზე მეტი რქოსანი და პრიმატის დაცემის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. მოგვიანებით, სიკვდილიანობის მზარდი სტატისტიკა მენეჯერებს შორის სასამართლო დავის საგანიც გახდა.

ზოოკუთხის ახალი დირექტორი ირწმუნება, რომ ბოლო თვეებია ცხოველების დაცემის ფაქტი არა, თუმცა ავადობის გამო მკვდრადშობის ფაქტები დაფიქსირდა. გიორგი კალანდაძე ვარაუდობს, რომ საკარანტინო რეჟიმი კიდევ სამი თვე გაგრძელდება.

„არის ცხოველების კატეგორია, რომელთაც ჰქონდათ მიმდინარე ქრონიკული ინფექციური დაავადებები, რომელიც არ გადაეცემა ადამიანს, თუმცა საშიშია ზოოკუთხის გახსნა ვიზიტორების ჯანმრთელობისთვის, რადგან მიმდინარეობს ცხოველებზე მძიმე მკურნალობის კურსი და პარალელურად სარემონტო სამუშაოები“, — განმარტავს ზოოკუთხის ხელმძღვანელი გიორგი კალანდაძე.

ზოოკუთხის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე თევზაძე ირწმუნებოდა, რომ ცხოველები შეუსაბამო გარემოში ცხოვრობდნენ და ზოოპარკის გადატანის იდეა გაახმოვანა. იდეა ქალაქის მერს ლაშა კომახიძესაც მოეწონა და მალე ტერიტორიაზე მსუბუქი კონსტრუქციებით კაფეების გახსნა დააანონსა.

რაც შეეხება ზოოკუთხეს და დაავადებული ცხოველებს, მათი მოვლა და ახალი ზოოპარკის მოწყობა უკვე ბათუმის ბოტანიკური ბაღის პასუხისმგებლობაა. ადგილი და სავარაუდო მშენებელი ცნობილია, ჩაქვში ზოოპარკს ფონდი „ქართუ“ მოაწყობს.

რომაული ბანაკები გონიოს ციხეში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალს ეწვია და იმ ახალ აღმოჩენებს გაეცნო, რომელიც ციხის ტერიტორიაზე ბოლო არქეოლოგიური კვლევებით გამოვლინდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ახლად დანიშნულმა ხელმძღვანელმა ზაურ ახვლედიანმა მთავრობის თავმჯდომარეს ციხის დათვალიერების შემდეგ „რომაული სამხედრო ბანაკის მოწყობის“ პროექტი წარუდგინა, რომელიც გონიოს მუზეუმ-ნაკრძალს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ვიზიტორებისთვის.

თორნიკე რიჟვაძემ დაათვალიერა ასევე მუზეუმში დაცული რომაელი ლეგიონერის აღჭურვილობა, ჯარისკაცის ცხოვრებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები, საბრძოლო და საინჟინრო ინვენტარი. ზაურ ახვლედიანმა მთავრობის თავმჯდომარეს გონიოს ციხის ინფრასტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებული გეგმები გააცნო.

ბოლო პერიოდში განხორციელებული გათხრების შედეგად გონიოს ციხის ტერიტორიაზე გამოვლინდა რომაული პერიოდის ახ. წ. I ს-ის II ნახევრით დათარიღებული აბანოს ნაშთები წყლის რეზერვუარებით, ქვაფენილით და მოზაიკიანი იატაკით. გონიოს ციხეში სხვადასხვა ექსპედიციის დროს ნაპოვნია ოსმალური, ბიზანტიური და რომაული პერიოდის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა.



100 წლის გაზეთი
თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ლეგენდარული სოფი ლორენი 84 წლის გახდა

იტალიელი თეატრის და კინოს მსახიობი, ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს — ოსკარის მფლობელი, საყოველთაოდ აღიარებული როგორც იტალიური კინოს საუკეთესო მსახიობი — სოფი ლორენი 1934 წლის 20 სექტემბერს დაიბადა.

ჩვილობაში სოფიას ლაქტოზისადმი არატოლერანტობა ჩამოუყალიბდა.

სიკვდილს გადარჩენილი გოგონა 13 წლამდე უკიდურესად გამხდარი იყო, იმდენად, რომ თანაკლასელი ბიჭები მეტსახელად „კბილის საჩიჩქნ ჯოხს“ ეძახდნენ. თუმცა ყველას გასაკვირად სოფია ორ წელიწადში შეივსო და დამშვენდა.

სოფიას წარმატება პროვინციული სილამაზის კონკურსით დაიწყო.

1950-იანი წლების დასასრულს ლორენს წარმატებული დებიუტი ჰქონდა ჰოლივუდში, როდესაც მან ითამაშა 1957 წლის ფილმებში „ბიჭი დელფინზე“ და „სიამაყე და ვნება“, სადაც იგი თამაშობდა კერი გრანტთან და ფრენკ სინატრასთან ერთად. ლორენს და გრანტს ჰქონდათ რომანი, რომელიც ჰოლივუდის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რომანტიკულ რომანადაა მიჩნეული.

aramount Pictures-სთან კონტრაქტის შემდეგ, ლორენი საერთაშორისო მასშტაბის ვარსკვლავი გახდა. ამ დროისთვის მან მონაწილეობა მიიღო ისეთ ფილმებში, როგორებიცაა: „სურვილი თელების ქვეშ“ ენტონი პერკინსთან ერთად; „მცურავი სახლი“, რომანტიკული კომედია კერი გრანტთან ერთად; ჯორჯ კიუკორის ფილმში „ჰელერი ვიწრო ვარდისფერ სამოსში“, სადაც იგი პირველად გამოჩნდა ქერა თმებში (პარიკით).

1960 წელს, ლორენმა ითამაშა ვიტორიო დე სიკას წარმატებულ ფილმში „ჩოჩარა“, რომელმაც უამრავი ჯილდო მიიღო, მათ შორის კანის, ვენეციისა და ბერლინის კინოფესტივალებზე. ლორენმა განსახიერებული როლისთვის ოსკარის ჯილდო მიიღო, კატეგორიაში საუკეთესო მსახიობი ქალი. ეს იყო აკადემიის პირველი ჯილდო არაინგლისურენოვანი შესრულებისთვის. თავდაპირველად, ფილმში ლორენის დედა უნდა ყოფილიყო მსახიობი ანა მანიანი, მაგრამ მან დაიწუნა ლორენი გარეგნობით, და მოითხოვა, რომ არა თვითონ, არამედ ლორენი ყოფილიყო მისი დედა. ვიტორიო დე სიკამ ძლივს დაიყოლია და საბოლოოდ ლორენმა ითამაშა დედის როლი, რაც მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა.

1960-იანი წლებში ლორენი გახდა ყველაზე პოპულარული ქალი მსოფლიოში. 1964 წელს, მან მიაღწია კარიერის ზენიტს, როდესაც მიიღო1 მილიონი აშშ დოლარი მთავარი როლისთვის ფილმში „რომის იმპერიის დაცემა“.

ლორენის ყველაზე ცნობილი ფილმებია ამ პერიოდიდან: „მილიონერი ქალი“ (1960) პიტერ სელერსთან ერთად, „ეს დაიწყო ნეაპოლში“ (1960) კლარკ გეიბლთან ერთად, ვიტორიო დე სიკას ფილმი „გუშინ, დღეს, ხვალ“ (1963) მარჩელო მასტროიანისთან ერთად, პიტერ უსტინოვის „ლედი ლმ“ (1965) პოლ ნიუმენთან ერთად, 1966 წლის კლასიკაში „არაბესკა“ გრეგორი პეკთან ერთად, და ჩარლი ჩაპლინის ფინალურ ფილმში „გრაფინია ჰონგ კონგიდან“ (1967) მარლონ ბრანდოსთან ერთად.

დედის სიცოცხლე



ქალები, რომლებიც 33 წლის ასაკს გადაცილებულები პირველად მშობიარობენ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ.

ეს დასკვნა პორტუგალიელმა მეცნიერებმა გამოიტანეს. დღეგრძელ სიცოცხლესთან დაკავშირებული მარკერები ასეთ ქალბატონებს სამჯერ უფრო მეტი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც ახალგაზრდა ასაკში იმშობიარა.

ვარაუდობენ, რომ ეს გარემოება იმათაა განპირობებული, რომ მოწიფულ ასაკში უფრო შეძლებული, განათლებული და ჯანსაღ წესს მიყოლილი ქალები მშობიარობენ პირველად.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6179; ევრო - 3.0606;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4517;
100 რუბლი - 3.9087; თურქული ლირა - 0.4156;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5393;
1000 სომხური დრამი - 5.4089.

ამინდი 21 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge